საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფცეკვაა, ფცეფილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკვერისიბაგე ეხაძაგლესია.

ორშაბათი, 14 თებერვალი. 2022 წ. №24 (9362) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ჩვენს ცუდ ყოფას პოლიტიკური დაძაბულობა განსაზღვრავს!

საქართველო „ეკონომისტის“ ანგარიშში – „დემოკრატიის ინდექსი“

ბიუჯეტის ზედმეტი სარჯი და კლინიკის მფლობელთა გასქელებული ჯიბე

იხ. 6 გვ.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა!

გაბედული პრორუსული პოლიტიკა ერთადერთი გზაა საქართველოს გადარჩენისა...

იხ. 5 გვ.

შვედეთში რუსეთის ელჩმა ომი...

უკანალიდან დაიწყო!..

ბოდიში, მაგრამ დავაით დასავლეთის სანქციებს!**

რუსეთის ელჩი, ვიქტორ ტატარინცევი გამოცემა Aftonbadet-თან საუბრისას უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში რუსეთისთვის სანქციების დაწესებას ასე გამოეხმაურა: **„ბოდიში, მაგრამ დავა**ით დასავლეთის სანქციებს...“**

„ჩვენ უკვე ბევრჯერ დაგვიწესეს სანქციები და მათ ჩვენს ეკონომიკაზე და სოფლის მეურნეობაზე დადებითი გავლენა ჰქონდათ. უფრო დამოუკიდებლები ვართ და ექსპორტი გავზარდეთ. არ გვაქვს იტალიური და შვეიცარიული ყველი, მაგრამ იტალიური და შვეიცარიული რეცეპტებით ისეთივე კარგი რუსული ყველის გაკეთება ვისწავლეთ.“ — თქვა ელჩმა.

ინტერვიუში ელჩმა აღნიშნა, რომ ახალი სანქციები კარგი არ არის, მაგრამ არც ისეთი სახიფათოა, როგორც დასავლეთი მათ წარმოაჩენს. ტატარინცევის თქმით, დასავლეთს რუსეთის მენტალიტეტი არ ესმის. ელჩმა აღნიშნა, რომ **„რაც უფრო მეტი წნეხი იქნება რუსებზე, მით უფრო ძლიერი იქნება რუსების საპასუხო რეაქცია“,** თუმცა ომის თავიდან არიდება შესაძლებელი იყო და რუსეთის პოლიტიკურ ლიდერებს სწორედ ეს სურთ. შვედურ გამოცემასთან ინტერვიუს ძირითადი თემა NATO-ს შვედეთის შესაძლო გაწევრიანება იყო. ტატარინცევმა NATO-ს გაფართოება რუსეთისთვის მთავარ საფრთხედ დაასახელა და აღნიშნა, რომ მოსკოვი ეწინააღმდეგებოდა ალიანსში შვედეთის გაწევრიანებას.

„აშშ და NATO პროვოცირებას რომ არ ახდენდნენ და მდგომარეობას არ ამწვავებდნენ, არ ვიქნებოდით NATO-ში შვედეთის გაწევრიანების წინააღმდეგი. პატივს ვცემდით შვედეთის ასეთ გადაწყვეტილებას, მაგრამ ახლა ევროპის ამ ნაწილში უსაფრთხოების მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა“, — თქვა ელჩმა.

აგრესიული მედია პოლიციის სამუშაო სივრცეში იჭრება!

2

ევერესტის უმაღლესმა მყინვარმა 2000 წლის განმავლობაში დაგროვებული ყინული 25 წელიწადში დაკარგა!

11

კასპში ნათლიები ერთმანეთის დაერივნენ!

კასპის მუნიციპალიტეტში მომხდარ მკვლელობაზე ახალი დეტალები ხდება ცნობილი — ირკვევა,რომ მკვლელობას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა. მოკლული და სავარაუდო მკვლელი ნათესავები არიან. 45 წლის კაცს თავის არეში ნაჯახით სასიკვდილო ჭრილობები 38 წლის პირმა მიაყენა. დაშავებული ადგილზე გარდაიცვალა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ მათ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და დაპირისპირების მიზეზებზე საუბარი უჭირთ.

„გავიგეთ, რომ მკვლელობა მოხდა და ყველა მხრებს იჩეჩავს, რატომ მოხდა არავინ იცის, არ გამიგია, რომ რამე კონფლიქტი ჰქონოდათ. ნათლიები იყვნენ ერთმანეთის“, — ამბობენ ადგილობრივები.

აღმოსავლეთ ევროპის რომელ ქვეყნებში აქვთ განთავსებული ნატოსა და ამერიკას აღჭურვილობა და ძალები?!

8

როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები?!

ინტერვიუ „მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ თავმჯდომარესთან როლანდ ნიკოლაიშვილთან

იხ. 3 გვ.

რა საკითხებს მიეჭცა ბრიტანეთში ქართველი დეპუტატების ყურადღება?

8 თებერვლიდან დიდ ბრიტანეთს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სტუმრობდა. შეხვედრები თემთა, ლორდთა პალატების სპიკერებთან, თემთა პალატის საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვის კომიტეტების წევრებთან გაიმართა.

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა მედიასთან აღნიშნა, შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, კერძოდ, უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე, რომელიც ასევე კავშირშია საქართველოს უსაფრთხოებასთან; საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობაზე.

„ჩვენი კოლეგებისგან კიდევ ერთხელ მივიღეთ დასტური, რომ საქართველო რჩება დიდი ბრიტანეთის, როგორც ნატოს წევრი ქვეყნის ყურადღების ქვეშ და რომ მათ სრულად ესმით უსაფრთხოების ის რისკები, რომლებიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში და მის გარშემო“, — ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა საკუთარი კომენტარი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ საერთაშორისო საკითხებში გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველ დევიდ ქუერისთან შეხვედრის შემდეგ, ხოლო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თავის მხრივ დასძინა, რომ ლონდონში კარგად ესმით, რომ რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში, უკრაინასთან ერთად, მოიაზრება საქართველოც.

„აძცენტმა“ სცადა, შეხვედრებზე დასმული აქცენტების, მათ შორის დიდ ბრიტანეთში არსებული განწყობების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიეღო და რამდენიმე კითხვით დელეგაციის ერთადერთ ოპოზიციონერ წევრს **თეონა აძუბარდიას** მიმართა.

* * *

— ძალბატონო თეონა, რა საკითხები მოექცა ფოკუსში შეხვედრისას, როგორც თქვენი, ისე მასპინძლების მხრიდან?

— საქართველოს დიდ ბრიტანეთთან 2019 წლიდან აქვს გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: უსაფრთხოება, პოლიტიკა, დემოკრატიის განმტკიცება, ეკონომიკა და განათლება. შესაბამისად, ეს ის ჩარჩოა, რაზეც მიმდინარეობდა საუბრები, თუმცა განსაკუთრებით გამოვყოფდი უსაფრთხოების და პოლიტიკურ საკითხებს: ცნობილია, რომ უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის რისკი მაღალ ნიშნულზეა. ამ პროცესში დიდ ბრიტანეთს საკმაოდ აქტიური პოლიტიკა აქვს. ბრიტანეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და აქედან გამომდინარე, ის აქტიურადაა ჩართული ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში. ჩვენი ინტერესი ამ შემთხვევაში იყო და აქცენტები დავსვით რუსულ აგრესიაზე საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც დღემდე გრძელდება; 2008 წლის აგვისტოს ომზე, რომელიც რუსეთის აგრესიული რევიზიონისტული პოლიტიკის პირველი გამოვლინება იყო. ასევე ვისაუბრეთ „ბორდერიზაციის“ პროცესზე, რომელსაც რუსეთი ახორციელებს, ადამიანების გატაცებაზე, უკანონო დაკავებებზე და ჰიბრიდულ ომზე, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ახორციელებს.

— ვვარაუდობ, რომ ყურადღებას ასევე გაამახვილებდით რეგიონში ბრიტანეთის გააქტიურებასა და მათ შორის ახალ ალიანსზე ბრიტანეთის, პოლონეთის და უკრაინის ჩართულობით და ამ კონტექსტში საქართველოს ადგილზე. მიღებულმა პასუხებმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ? არის ინტერესი, სამეულთან ერთად ალიანსში საქართველოც ვიხილოთ?

— ჩვენთვის საინტერესოა დიდი ბრიტანეთის ეს ახალი ალიანსი. რამდენადაც პროცესი ახალია, ჩვენ მოვისმინეთ დიდი ბრიტანეთის ინტერესი, რომ ევროპული უსაფრთხოება არ იყოს დარღვეული რუსეთის მხრიდან. ასევე მოვისმინეთ იმ ისტორიულ კავშირებთან მიმართებაში პოზიციები, რომელიც დიდ ბრიტანეთს წლების მანძილზე აკავშირებს პოლონეთთან და რა მხარდაჭერას უწევს ლონდონი კიევს, როგორც პოლიტიკურად, ასევე სამხედრო კუთხით. რაც შეეხება საქართველოს შესაძლებლობას, ამ კუთხით ინტერესი გამოვხატეთ. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი ამ ეტაპზე ჩამოყალიბების პროცესშია, უფრო მეტი ინფორმაცია და გარკვეულწილად დროც არის საჭირო, რომ მეტად გამოიკვეთოს ეს შესაძლებლობები, თუმცა ერთმნიშვნელოვნად მივიღეთ ეს მხარდაჭერა როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის, შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით, სადაც დიდ ბრიტანეთი აქტიურ როლს თამაშობს (ორი ბრიტანული სამხედრო გემი იყო შავ ზღვაში, მათ შორის საქართველოში), ასევე თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით. ამასთან, რა თქმა უნდა, მივიღეთ ნატოში წევრობის მხარდაჭერა, რომელიც ჩვენი სუვერენული არჩევანია და რომელსაც დღეს რუსეთი ასე ემუქრება.

დასასრულს აუცილებლად უნდა ვთქვა, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები და პოლარიზაცია, რა თქმა უნდა, შეფასებულია, როგორც გამოწვევა დიდ ბრიტანეთშიც: რა პროცესებია საქართველოში, რათა პოლარიზაცია შემცირდეს, რა ვითარებაა დემოკრატიულ რეფორმებთან მიმართებით— ამ კუთხით ინტერესი იყო გამოხატული, ჩვენ კი ვიცით, რომ დემოკრატიული რეფორმებია საწინდარი ქვეყნის ნატოში წევრობისა და ევროპულ ოჯახში გაერთიანებისთვის. ამიტომ, ეს იყო ასევე ერთ-ერთი საყურადღებო თემა.

სენაკში „ნაცმოძრაობამ“ და გიორგი გახარიამ მათემატიკა თავდაყირა დააყენეს

სენაკში ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ამოცანა — არ დავუშვათ „ნაცმოძრაობისა“ და გიორგი გახარიას მორიგი წარმატებული ალიანსი და შევქმნათ სტაბილური უმრავლესობა სენაკის მუნიციპალიტეტში, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა. მისივე თქმით, ამ ამოცანის შესასრულებლად მმართველი გუნდი ყველაფერს გააკეთებს.

„ნაცმოძრაობამ“ და გიორგი გახარიამ მათემატიკა დააყენეს თავდაყირა. იმდენად დიდი იყო მათი ცდუნება, სენაკშიც გაეფორმებინათ კოალიცია, რომ ვერ გაუძლეს და შეიკრიბნენ 16 კაცით, როცა შეკრებას სჭირდებოდა 17 კაცი. 16 კაცი ჩვენც გვყავს, და ეს რომ საკმარისი ყოფილიყო, ჩვენც შევიკრიბებოდით. იმდენად ღიმილისმომგვრელი და კომიკურია მათი ნაბიჯი, რომ ვერაფრით ის ვერ აიხსნება, გარდა იმისა, რომ მათ ვერ გაუძლეს ამ ცდუნებას“, — განაცხადა კობახიძემ.

ირაკლი კობახიძე: დღეს მოსმენების, მიყურადღების პრაქტიკა არ არსებობს!

ზოგადი სურათი არის ის, რომ 2012 წლამდე იყო ძალიან მძიმე სისტემური პრაქტიკა მოსმენების, მიყურადების, რაც ძალიან „ეფექტურად“ გამოიყენებოდა წინა ხელისუფლების მხრიდან იმისთვის, რომ განხორციელებულიყო ზეწოლა კონკრეტულ ადამიანებზე, — განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტის კითხვის პასუხად.

„ეს პრაქტიკა 2012 წლის შემდეგ არის დასრულებული, რაც არის ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი წარმატება. რაც შეეხება კონკრეტულად იმ ჩანაწერებს, რომლებიც არჩევნებამდე ვრცელდებოდა ტელევიზიების მხრიდან, ამას სჭირდება გამოძიება და გამოძიება დაადგენს სად არის ტყუილი და სად მართალი“, — აღნიშნა კობახიძემ.

აგრესიული მედია პოლიციის სამუშაო სივრცეში იჭრება!

ბოლო პერიოდში აგრესიული მედიისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა პოლიციის სამუშაო სივრცეში ძალადობრივი გზით შეჭრა და ვიდეოგადაღება. პოლიციის თანამშრომლებისგან ძალადობრივი მეთოდებით მოპოვებული არასასურველი კომუნიკაციის ამსახველი კადრებით, მედიასაშუალებები ცდილობენ მაყურებელში ნეგატიური განწყობების შექმნას. ჟურნალისტების მსგავსი ქმედებები პოლიციის საქმიანობის დისკრედიტაციას და მის მიმართ საზოგადოებაში უნდობლობის, უპატივცემულობის დამკვიდრებას ემსახურება, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის განცხადებაშია აღნიშნული.

„გვსურს გამოვეხმაუროთ მედიასაშუალებების მიერ შაბათის საღამოს ეთერში გასულ, პოლიციის საქმიანობის მიმართ მიზანმიმართულად ცილისმწამებლური შინაარსის ინფორმაციას. დასაწყისშივე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში აგრესიული მედიისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა პოლიციის სამუშაო სივრცეში ძალადობრივი გზით შეჭრა და ვიდეოგადაღება, რაც ხელს უშლის საპოლიციო დანაყოფებში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებებს და აზიანებს პროცესის მონაწილე პირების (მოწმეების, დაზარალებულების) ინტერესებს.

პოლიციის თანამშრომლებისგან ძალადობრივი მეთოდებით მოპოვებული არასასურველი კომუნიკაციის ამსახველი კადრებით, მედიასაშუალებები ცდილობენ მაყურებელში ნეგატიური განწყობების შექმნას. ჟურნალისტების მსგავსი ქმედებები პოლიციის საქმიანობის დისკრედიტაციას და მის მიმართ საზოგადოებაში უნდობლობის, უპატივცემულობის დამკვიდრებას ემსახურება.

ამ მედიასაშუალებების მაყურებელთა წინაშე პასუხისმგებლობის გამო და საზოგადოების სიცრუეში შეყვანის მცდელობის საპასუხოდ, გვსურს განვმარტოთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი უწყებაა, სადაც 40 000-მდე ადამიანი მუშაობს. შესაბამისად, თანამშრომელთა გადინება და ახალი თანამშრომლების მიღება ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ზოგიერთი სამუშაოს შესრულების მიზნით, როგორიც არის, მაგალითად, საგამოძიებო პროცესში სათარჯიმნო მომსახურება, თანამშრომლობს კერძო სექტორთან და ეს პირველ რიგში, ემსახურება საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ობიექტურად წარმართვას, მოწმის და დაზარალებულთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვას.

პოლიციის მიმართ ბრალდების ავტორებს ქვეყანაში ყოფნის პერიოდში შეეძლოთ მიემართათ როგორც პოლიციის საქმიანობაზე ზედამხედველი ორგანოებისთვის, ასევე მედიასაშუალებებისთვის, თუმცა ნათელია, რომ ბრალდების ავტორებისგან საკუთარ ქვეყანაში მათი დევნის ყალბი სურათის შექმნა, ისახავს ერთადერთ მიზანს — ამ საფუძვლით მოიპოვონ უცხო ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრების უფლება. ცრუ ბრალდებების ავტორთა მხრიდან საქართველოს და მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევას ემატება პოლიციის მიმართ ცილისმწამებლური ქმედება, რაც საბოლოოდ, წახალისებულია ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ“, — აღნიშნულია განცხადებაში.

გაერთიანებულ სამეფოში საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი დასრულდა

საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ოფიციალურად დასრულდა. შეხვედრებზე მთავარი საკითხი რუსეთისგან მომდინარე საფრთხე იყო. დელეგაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქართულმა მხარემ ოფიციალური კიევის მიმართ მხარდაჭერა ყველა შეხვედრაზე გამოხატა. რაც შეეხება ახალი ალიანსის შექმნას, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ სამხარაძემ განაცხადა, რომ არარსებულ გაერთიანებაზე ჯერ საქართველო ვერ იფიქრებს, ვიდრე არ დაკონკრეტდება ალიანსის ზუსტი მიზნები და გაერთიანების მიზეზი.

„მთავარი მიზანი იყო ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება, ასევე, უსაფრთხოების საკითხების განხილვა და ასევე, ეკონომიკური საკითხების განხილვა, მათ შორის ვაჭრობის განვითარება საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის. ჩვენ გვქონდა შეხვედრები როგორც თემთა პალატაში, ისე ლორდთა პალატაში; გვქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრის მრჩეველთან უსაფრთხოების საკითხებში; გქვონდა შეხვედრა ბრიტანეთში აკრედიტებულ დიპ. კორპუსის წარმომადგენლებთან და ასევე გვქონდა შეხვედრები აკადემიურ წრეებთან“, — განაცხადა სამხარაძემ.

ინტერვიუ „მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ თავმჯდომარესთან როლანდ ნიკოლაიშვილთან

როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები?!

— ცენტრის სახელიდან გამომდინარე, მისი დანიშნულება საქართველოში მშვიდობის ხარისხის გაუმჯობესება უნდა იყოს. მაგრამ სად ხედავთ მშვიდობის დეფიციტს და თუ ხედავთ, როგორ აპირებთ მის აღმოფხვრას?

— მშვიდობის დეფიციტს ომი წარმოქმნის, საქართველოში კი უომრადაც არსებობს მშვიდობის დეფიციტის ორი სერიოზული კერა. ცენტრი მხოლოდ ერთი ასეთი კერის აღმოსაფხვრელად შეიქმნა. ამიტომ, მეორეს ზოგადად შევეხები, მით უმეტეს, რომ ის ხელოვნური წარმოშობისაა და ხელოვნურადვე ნარჩუნდება. ვგულისხმობ პოლარიზაციას, რომლის პოლუსები: ხელისუფლებაში მყოფი „ოცნება“ და ოპოზიციაში გადანაცვლებული „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები არიან. პირველი კატეგორიულად აცხადებს, დიქტატურა ვერ დაბრუნდებაო, მეორე კი სწორედ დაბრუნებისთვის იბრძვის და ცდილობს, აამხედროს საზოგადოება „ოცნების“ და მისი დამფუძნებლის წინააღმდეგ. თუმცა, რას გიყვებით ყოველივე იმას, რასაც საზოგადოება 2012 წლიდან მოყოლებული ყოველდღიურად ხედავს და ვინაიდან ხედავს, 2024 წლის არჩევნებზე ვერდიქტსაც თვითონ გამოიტანს. ცენტრი აპოლიტიკური და მიუკერძოებელია, ამიტომ ხელოვნურ პოლარიზაციაზე მეტს აღარ ვისაუბრებ (თუ ამის აუცილებლობა ძირითადმა თემამ არ განაპირობა), ძირითადი თემა კი საქართველოს კონფლიქტებია.

მიაქციეთ ყურადღება, აფხაზეთის ომის მიერ წარმოქმნილი მშვიდობის დეფიციტი დღესაც დეფიციტად რჩება, ან რა აღმოფხვრიდა როდესაც კონფლიქტები უძრავ (გაყინულ) მდგომარეობაშია. მშვიდობის დეფიციტის აღმოფხვრის ერთადერთი გზა კონფლიქტების სამართლიანი დასრულებაა. ამ გზაზე დასადგომად კონფლიქტების ამოძრავებაა საჭირო, მაგრამ რა აამოძრავებს, გარდა თბილისის თანამშრომლობისა სოხუმთან და ცხინვალთან? ვაშინგტონს რომ ვთხოვთ დახმარებას, მას არც კონფლიქტების ამოძრავება შეუძლია და ვერც დაეხმარება თბილისს, სანამ თვითონ თბილისი არ აამოძრავებს კონფლიქტებს სოხუმთან და ცხინვალთან თანამშრომლობის დაწყებით. ამიტომ სანამ კონფლიქტების სამართლიანად დასრულების მიზნით, ხელისუფლება არ დაიწყებს თანამშრომლობას სოხუმთან და ცხინვალთან, იმის მტკიცება, რომ **„კონფლიქტების თემაზე სერიოზულად ვმუშაობთო“,** საზოგადოების და საკუთარი თავის მოტყუებაა.

გასაგებია ხელისუფლების სურვილი, ჯერ დეოკუპაციას მიაღწიოს და შემდეგ დაიწყოს თანამშრომლობა სოხუმთან და ცხინვალთან. მაგრამ, რამდენად ლოგიკური და რეალიზებადია, გქონდეს ასეთი სურვილი, როდესაც „მამაო ჩვენოსავით“ იცი: რატომ დაიწყო რუსეთმა ომი საქართველოსთან, რატომ მოახდინა ორი კონკრეტული რეგიონის ოკუპაცია, რატომ აღიარა ამ რეგიონების დამოუკიდებლობა და რატომ დადგა მათ სადარაჯოზე. როდესაც იცი ეს ყოველივე, იმის დანახვაც შეგიძლია, რომ ოკუპაცია დასრულდება კონფლიქტების სამართლიანად დასრულებასთან ერთად, ანუ თუ დეოკუპაციის მიღწევა გვსურს, კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება უნდა დავიწყოთ. თანაც მოსკოვი ყოველთვის ჰპირდებოდა თბილისს **„მშვიდობიან მოწესრიგებაში დაგეხმარები“,** თან აფრთხილებდა **„ძალისმიერს არ დავუშვებო“**. ფაქტი აშკარაა, მოსკოვმა შეასრულა დანაპირები, არ დაუშვა ძალისმიერი გზით ცხინვალის რეგიონის დაბრუნება. ამიტომ არც იმ სიტყვას გატეხს, რომელიც მშვიდობიან დაბრუნებაში დახმარების გაწევას გულისხმობს. ეს დახმარება მოსკოვისგან ოცდაოდ წლის წინ რომ მიგვეღო, კონფლიქტები რამდენიმე კვირაში დასრულდებოდა მაგრამ... დასრულდებოდა ნატოზე ოცნებაც!

დღეს სხვა დროა, თბილისი და ვაშინგტონი სტრატეგიული პარტნიორები არიან და ამ პარტნიორობას კონფლიქტების სამართლიანი დასრულება კიდევ უფრო გააძლიერებს. ამიტომ და ვინაიდან კონფლიქტების დასრულებამდე დეოკუპაცია შეუძლებელია, თბილისმა უნდა გააააქტიუროს კონფლიქტების თემა სოხუმთან და ცხინვალთან თანამშრომლობის დაწყებით, ანუ უნდა შექმნას ფორმატი: „თბილისი-სოხუმი-ცხინვალი““ მაგრამ მოსკოვის ჩაუთვლელად სოხუმი და ცხინვალი თბილისთან არ ითანამშრომლობენ, აქედან გამომდინარე, ოკუპანტთან თანამშრომლობა გარდაუვალი გახდება, ოღონდ ვაშინგტონთან ერთად. შედეგად სამეულის ფორმატი გაიზრდება ხუთეულის ფორმატამდე. ამ ფორმატის შემადგენლობაში იქნებიან: კონფლიქტების ძირითადი მხარეები თბილისი, სოხუმი, ცხინვალის სახით და დამხმარე (მშვიდობისმყოფელი) მხარეები: მოსკოვის და ვაშინგტონის სახით. ჩემი ვარაუდით, ეს ხუთეული მაქსიმუმ 2 წელიწადში მიიყვანს კონფლიქტებს სამართლიან დასრულებამდე და დეოკუპაციამდე. კონფლიქტების დასრულების აქტს ხელს მოაწერენ ხუთივე მხარის პოლიტიკური ლიდერები. ამით დადასტურდება არა მხოლოდ კონფლიქტების მშვიდობიანად დასრულების ფაქტი, არამედ ის ფაქტიც, რომ კონფლიქტების დასრულებას ხელი შეუწყო მოსკოვის და ვაშინგტონის ერთობლივმა მშვიდობისმყოფელობამ. მაგრამ კონფლიქტების დასრულება ფინიშია, ფინიშისკენ მიმავალი გზა კი (როგორც აღვნიშნე და კიდევ ბევრჯერ მომიწევს აღნიშვნა) იწყება თბილისის თანამშრომლობით სოხუმთან და ცხინვალთან.

— კონფლიქტების მოწესრიგება რომ სოხუმთან და ცხინვალთან თანამშრომლობით იწყება ამას ყველა ხვდება და, მით უ მეტეს, ხელისუფლება. გასაკვირი ის არის, რატომ არ მუშაობს ამ მიმართულებით?

— იმიტომ რომ სოხუმთან და ცხინვალთან თანამშრომლობა ხუთეულის ფორმატს ბადებს, ამ ფორმატში კი მოსკოვის ყოფნა (ისევე როგორც ვაშინგტონის) აუცილებელია. სწორედ მოსკოვთან დაკავშირებული ორი მიზეზის გამო „ოცნების“ ხელისუფლება ვერ ბედავს თანამშრომლობის დაწყებას სოხუმთან და ცხინვალთან. ჩვენ ორივე მიზეზს განვიხილავთ და დავადგენთ, რა საშიშროებას ხედავს ხელისუფლება თითოეულ მათგანში.

მოსკოვის ფაქტორიდან გამომდინარე პირველი მიზეზი:

ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ხუთეულის ფორმატს მოსკოვი გამოიყენებს ნატოს თემით ვაჭრობისთვის, რაც ავტომატურად ჩაშლის კონფლიქტების მოწესრიგების პროცესს. თუ დავუკვირდებით, მოსკოვს მყარი არგუმენტები აქვს ოკუპაციის გამართლებისთვის, ვინაიდან ეს არგუმენტები იმდროინდელმა ხელისუფლებამ „მიართვა“. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ოკუპაციის მთავარი დანიშნულება ნატოს გაფართოების შეჩერებაა პოსტსაბჭოური სივრცის მიმარუთლებით. სხვა მიმართულებით ნატოს გაფართოება მოსკოვს საერთოდ არ ადარდებს, პოსტსაბჭოურ მიმართულებაზე კი პირდაპირ ამბობს, საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები ვერ გახდებიანო. საქართველოს და უკრაინის ნატოსკენ სწრაფვა (რისი სრული უფლება აქვთ) დღითი დღე ამწვავებს რიტორიკას მოსკოვს და ვაშინგტონს შორის, მათ ხელში კი მსოფლიოში არსებული ბირთვული იარაღის 90%-ზე მეტია.

რამდენად სამართლიანია ბირთვული იარაღის კონტროლი ორი სახელმწიფოს მიერ? ბირთვული იარაღი ყველა სახელმწიფოს რომ ჰქონოდა, ისედაც ფეთქებადსაშიში მსოფლიო, ბირთვულად ფეთქებად საშიშიც გახდებოდა. ბირთვული იარაღი ერთი სახელმწიფოს ხელში რომ ყოფილიყო, მსოფლიო მასშტაბის დიქტატურასთან გვექნებოდა საქმე. ამიტომ, ბირთვულ იარაღს რომ ორი სახელმწიფო აკონტროლებს და არა ერთი ან ორზე მეტი, ეს კარგია, ცუდია მოსკოვის და ვაშინგტონის ურთიერთობების დაძაბვა. ასეთი დაძაბულობა კი დღითი დღე მატულობს. დაძაბულობის მიზეზი: მოსკოვისთვის არის ნატოს ცდილობა გაფართოვდეს პოსტსაბჭოური სივრცის მიმართულებით, ვაშინგტონისთვის რუსული ოკუპაცია. ამ ორი მიზეზის აღმოფხვრამდე დაძაბულობა იმატებს და შეიძლება კრიტიკულ ზღვარსაც მიაღწიოს. ამიტომ მოქმედებაა საჭირო და სწორედ ამ ორი მიზეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

ოკუპაციის თემით გამოწვეულ დაძაბულობას ნაწილობრივ მოხსნის საქართველოს კონფლიქტების სამართლიანი დასრულება და ბოლომდე დახურავს უკრაინის კონფლიქტების დასრულება. რაც შეეხება ნატოს თემით გამოწვეულ დაძაბულობას, მოსკოვმაც იცის და ვაშინგტონმაც, რომ საქართველოში და უკრაინაში არსებული კონფლიქტების მოწესრიგებამდე, ნატოს თემის გადაწყვეტა: ან მოსკოვის ან ვაშინგტონის სასარგებლოდ თეორიულადაც კი შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მათი ურთიერთობების კრიტიკულ ნიშნულამდე დაძაბვა. ამიტომ ბირთვული იარაღის პულტისკენ რომ არ წაუცდეთ ხელი, ხუთეულის ფორმატის ამოქმედებიდან საქართველოს კონფლიქტების დასრულებამდე შეგნებულად გაყინავენ ოკუპაციის და ნატოს თემებს. შემდეგ ნახავენ, რა ცვლილებებს შეიტანს საქართველოს კონფლიქტების (მათივე მონაწილეობით დასრულება) ამ საჭირბოროტო თემებში და უკვე სრულიად ახალ რეალობაში კვლავ გააააქტიურებენ ამ თემებს. აქედან გამომდინარე, ხუთეულის ფორმატის ამოქმედებიდან დაწყებული კონფლიქტების დასრულებამდე (ანუ დაახლოებით ორი წელი) თბილისმაც უნდა გაყინოს ოკუპაციის და ნატოს თემები.

მოსკოვის ფაქტორთან დაკავშირებული მეორე მიზეზი:

„ოცნების“ ხელისუფლება წინასწარ ხედავს რადიკალური ოპოზიციის რეაქციას ხუთეულის ფორმატში მოსკოვის მონაწილეობის გამო. ხედავს, რომ მოსკოვის ფაქტორი გამოყენებული იქნება ახალი რევოლუციის ასაგორებლად, ანუ დიქტატურის დასაბრუნებლად. სწორედ დიქტატურის დაბრუნების შიშით ვერ ბედავს ხელისუფლება საქმისთვის აუცილებელი ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ რამდენად რეალურია ახალი რევოლუცია, რომელსაც ასიათასობით ადამიანური რესურსის გარდა, დიდი ფულიც სჭირდება?

„ვარდები“ სოროსმა დააფინანსა და სავარაუდოდ, რევოლუციის დაფინანსებით სოროსი იმედოვნებდა ისეთი ძალის მოყვანას ხელისუფლებაში, რომელიც მხოლოდ დემოკრატიული პრინციპებით იხელმძღვანელებდა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ დიქტატურის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ამიტომ ახალ რევოლუციას აღარ დააფინანსებს. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა დიდ არმიას რევოლუციის გამეორების სურვილი რომ ჰქონოდა, აქამდე გაიმეორებდა. მაგრამ მათი სურვილია არჩევნების გზით მოიყვანოს ფავორიტი პარტია ხელისუფლებაში და ამიტომაც ტოვებს ნაციონალურ მოძრაობას მთავარი ოპოზიციური ძალის პოზიციაზე.

იხ. 4 გვ.

მიაქციეთ ყურადღება, აფხაზეთის ომის მიერ წარმოქმნილი მშვიდობის დეფიციტი დღესაც დეფიციტად რჩება, ან რა აღმოფხვრიდა, როდესაც კონფლიქტები უძრავ (გაყინულ) მდგომარეობაშია. მშვიდობის დეფიციტის აღმოფხვრის ერთადერთი გზა კონფლიქტების სამართლიანი დასრულებაა. ამ გზაზე დასადგომად კონფლიქტების ამოძრავებაა საჭირო, მაგრამ რა აამოძრავებს, გარდა თბილისის თანამშრომლობისა სოხუმთან და ცხინვალთან?

ჯო ბაიდენის შეშფოთება მხოლოდ პოლიტიკური ჟესტი არ არის, ეს სრულიად რეალური გათვლის შედეგია

უკრაინასთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკური კრისიზი დღეს უკვე, ახალ და უფრო საშიშ ფაზაში გადადის. რეალური საფრთხის შესახებ ღიად მიგვანიშნებენ მსოფლიო ლიდერები და აცხადებენ, რომ მდომარეობა შესაძლოა კონტროლს აღარ დაექვემდებაროს, რადგან საქმე გვაქვს რუსეთთან, რომელიც დღეს პრაქტიკულად, დანარჩენ, ცივილიზებულ სამყაროს თითის დაქნევით ელაპარაკება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, **ჯო ბაიდენი** საკუთარ მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ უკრაინა, სადაც შესაძლოა, მალე სიტუაცია მწყობრიდან გამოვიდეს.

„ამერიკის მოქალაქეებმა ახლავე უნდა დატოვონ უკრაინა. ეს არ ჰგავს იმას, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ტერორისტულ ორგანიზაციასთან. ჩვენ საქმე გვაქვს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს არმიასთან. ეს ძალიან განსხვავებული სიტუაციაა და ყველაფერი შეიძლება სწრაფად გამოვიდეს მწყობრიდან“, – განაცხადა პრეზიდენტმა NBC News-თან ინტერვიუში.

კითხვაზე, არსებობს თუ არა სცენარი, რამაც შეიძლება ბიძგი მისცეს მას, ამერიკელების გადასარჩენად ჯარი გაგზავნოს, ბაიდენმა უპასუხა, რომ **„არ არსებობს“.**

როდესაც ამერიკელები და რუსეთი იწყებენ სროლას ერთმანეთისკენ, ეს მსოფლიო ომია. ჩვენ დღეს ძალიან განსხვავებულ მსოფლიოში ვართ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ“, – აღნიშნა ბაიდენმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, **ირაკლი მენაღარიშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ჯო ბაიდენი მსოფლიოს აფრთხილებს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ და იმ შემთხვევაში თუკი, არსებული ვითარება უფრო მეტად დამძიმდება, კატასტროფის წინაშე დადგება არა მხოლოდ უკრაინა, მთელი მსოფლიო.

ირაკლი მენაღარიშვილის შეფასებით, რუსეთი უკრაინას დასავლეთთან შანტაჟისთვის იყენებს და დანარჩენი მსოფლიო უნდა ეცადოს, მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აიცილოს.

„ეს არის ჯო ბაიდენის საკმაოდ სერიოზული გაფრთხილება. ამ შემთხვევაში, მსოფლიო კატასტროფის რისკი იმდენად დიდია, რომ შეშფოთება მხოლოდ პოლიტიკური ჟესტი არ არის არავისგან, ეს სრულიად რეალური გათვლის შედეგია. უკრაინასთან დაპირისპირება შანტაჟისთვის ამიტომაც გამოიყენა რუსეთმა. მან კარგად იცის, როგორი იქნება მსოფლიოს რეაქცია ამ მოქმედებაზე. ზომები, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, ყოველგვარი ჩარჩოს და შეზღუდვის გარეშე უნდა იყოს განხორციელებული.

არ ვიტყოდი ჯერჯერობით, რომ მსოფლიო ომის ზღვარზე ვართ, ექსპერტების შეფასება ასეთია. თუმცა, ამ ძალიან საშიშ თამაშს შეიძლება მოჰყვეს მსგავსი განვითარება, ეს უდავოა. მე მაინც მგონია, რომ ცივილიზებული მსოფლიო უკან დაახევინებს რუსეთს მსგავსი გადაწყვეტილებისგან, მაგრამ რაც მოხდა, ეს ყველაფერი უკვე ძალიან შემაშფოთებელია, ყურადღების მიღმა გატარება სრულიად შეუძლებელია.

საუბარი არის იმ ფასზე, რომელიც რუსეთმა უნდა გადაიხადოს დასავლეთთან წინააღმდეგობის შემთხვევაში. იმდენად დიდია ეს ფასი, რაც დასავლეთმა დაასახელა, რომ არ მგონია, რუსეთმა გარისკოს მსგავსი ნაბიჯის გადადგმა“ – განაცხადა **ირაკლი მენაღარიშვილმა.**

ანალიტიკოსი საერთაშორისო საკითხებში, **ნიკა ჩიტაძე** აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, ეს საკმაოდ მასშტაბურ სახეს მიიღებს. დღეს რეალურად, მსოფლიო ომის ზღვარზე ვართ.

„შესაძლებელია, ამ ყველაფერმა მასშტაბური ხასიათი მიიღოს, გამომდინარე იქიდან, რომ უფრო მეტი და მეტი სახელმწიფო ერთვება რუსეთ-უკრაინას შორის არსებულ, დღევანდელ კონფლიქტში, ვგულისხმობ ნატოს წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის შეიარაღებას აწვდიან უკრაინას.

საყურადღებოა, რომ ბევრი ქვეყანა სოლიდარობას უცხადებს უკრაინას, თუმცა, მეორე მხრივ, ასევე ძალიან საინტერესოა ჩინეთ-რუსეთის ალიანსი. ვხედავთ, რომ რუსეთსაც ჰყავს მოკავშირე ჩინეთის სახით. თუ რუსეთი შეიჭრება უკრაინაში, ეს არ იქნება მხოლოდ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. ომში გადაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელია კაცობრიობა გახდეს მესამე მსოფლიო ომის მომსწრე. ეს არის ჯო ბაიდენის გაფრთხილება, რომ მსოფლიო მართლაც დადგეს მესამე მსოფლიო ომის წინაშე.

რაც შეეხება რუსეთის მხრიდან უკრაინაში შესაძლო შეჭრას, მგონია, რომ ეს არ მოხდება, მაგრამ ის გააააქტიურებს თავის ქმედებას დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში. საფრთხე არსებობს, თუმცა, რამდენად უღირს რუსეთს ფართომასშტაბიანი ომი ამ პირობებში? - მას სჭირდება ძალის დემონსტრირება, რომ ძალის იმიტაცია შექმნას, თითქოს ის აპირებს უკრაინაში ფართომასშტაბიან ომს იმისთვის, რომ დასავლეთი გარკვეულ დათმობებზე დაიყოლიოს“...

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი **ბორის ჯონსონი** აცხადებს, რომ მომდევნო რამდენიმე დღე შეიძლება ყველაზე სახიფათო მომენტი იყოს ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შექმნილ კრიზისში. მისი თქმით, უკრაინაში ომი აბსოლუტური კატასტროფა იქნება.

„გულწრფელად გითხრათ, არ მგონია, რომ მოსკოვმა შეჭრასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია ძალიან მალე რაღაც აბსოლუტურად კატასტროფული მოხდეს. ეს არის, ალბათ, ყველაზე სახიფათო მომენტი, ვიტყოდი, მომდევნო რამდენიმე დღე, უსაფრთხოების ყველაზე დიდ კრიზისში, რომლის წინაშეც ევროპა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მდგარა. უბრალოდ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს იქნება აბსოლუტური კატასტროფა, თუ აქამდე მივა და თუ სისხლი დაიღვრება უკრაინის მიწაზე“, – აღნიშნა ჯონსონმა ბრიუსელში, ნატოს გენერალურ მდივანთან, **იენს სტოლტენბერგთან** შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, რუსმა ხალხმა უნდა იფიქროს, „რამდენად კეთილგონივრულია რუსი ჯარისკაცების სისხლისღვრა ომში, რომელიც კატასტროფული იქნება“. ბრიტანეთის პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანებული სამეფო ემზადება სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ ისინი მზად არიან დიალოგისთვისაც.

„არსებობს გარკვეული საკითხები, რაც მოლაპარაკებებს არ ექვემდებარება – ის, რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკა უნდა ჰქონდეს“, –განაცხადა ჯონსონმა და დასძინა, რომ არის ისეთი საკითხებიც, რომლებზე მოლაპარაკებაც შესაძლებელია.

ნიკო ჩოხელი

როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები?!

(მესამე გვერდიდან)

ამ პოზიციიდან ხელისუფლებაში მოსვლამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება, მაგრამ ქვეყნისთვის საჭირო საქმის კეთების შ“ ლიდერები კი საქმედ აღიქვამენ უწყვეტ დესტრუქციას და პოლარიზაციას. ყოველივე ეს მათთვის საჭიროა ხელისუფლებაში მყისიერად მოსვლისთვის, ანუ ახალი რევოციისთვის. საკუთარი მხარდამჭერების უდიდესი ნაწილისთვის კი რევოლუცია მიუღებელია და ვინაიდან მიუღებელია, ხელისუფლებაში მყისიერად მოსვლის სურვილი სურვილის ზევით ვერ წავა. ამიტომ ხელისუფლებას არც მეორე მიზეზის არ უნდა ეშინოდეს და დაიწყოს კონფლიქტების სამართლიანად დასრულებისთვის საჭირო ნაბიჯების თანმიმდევრული გადადგმა.

ამიტომ კონფლიქტების დასრულებისკენ მიმავალ გზაზე, პარლამენტმა უნდა გადადგას ის ნაბიჯი, რომელიც რევოლუციის გამო ვერ გადადგა შევარდნაძემ.

— რა ნაბიჯი უნდა გადაედგა შევარდნაძეს და საიდან იცით ამის შესახებ?

— იგივე საკითხზე, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, კონფლიქტების დაბადებიდან 2015 წლამდე ხელისუფლებისთვის და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიებისთვის 200-ზე მეტი წერილი მაქვს გაგზავნილი. პირადად შევარდნაძისვთის 30 წერილი მაქვს გაგზავნილი და ამის შესახებ იცოდა ქვემო ქართლის იმდროინდელმა გუბერნატორმა, ჩემმა ახლო ნათესავმა ლევან მამალაძემ. ის იზიარებდა აზრს სოხუმთან და ცხინვალთან თანამშრომლობის აუცილებლობასთან და ხუთეულის ფორმატის შექმნასთან დაკავშირებით.

ამიტომ მუშაობის პირობებსაც მიქმნიდა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ წერილების გზავნით შედეგს ვერ მივაღწევდით. 2003 წლის შემოდგომაზე, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა უკვე ცნობილი იყო, მან მითხრა: **„ხომ ხედავ შენი წერილები შევარდნაძემდე არ მიაძვთ, სადამდე უნდა წერო. მოდი, პარლამენტს მივაწოდოთ ეს საკითხი და ვინაიდან მეც პარლამენტში ვიძნები, ადვილად მივაღებინებ დადგენილებას სოხუმთან და ცხინვალთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მაგრამ ჯერ შევხვდები პრეზიდენტს, ავუხსნი ყოველივეს და ვთხოვ, რომ ეს საკითხი პარლამენტში პირადად მან შეიტანოსო“.**

შემდეგ შეხვდა შევარდნაძეს, მან მოიწონა აზრი და ამ საკითხის პარლამენტში შეტანა პირველივე სხდომისთვის დაგეგმა, ეს სხდომა კი ჩაის სმით დასრულდა. ასე რომ არ მომხდარიყო, საქართველოს კონფლიქტები (დიდი ალბათობით) 2008 წლის ომამდე დასრულდებოდა.

მაგრამ შევარდნაძე საკუთარ ხალხს არ დაარბევდა ან რა ვაჟკაცობაა ასიათასობით უიარაღო ადამიანის დარბევა. ამიტომ თქვა: **„სახლში მივდივარო“** და წავიდა. ჩემი ნათესავი კი ოჯახთან ერთად საქართველოდან წავიდა, ვინაიდან შევარდნაძის ერთგულებას რევოლუციის ლიდერები არ აპატიებდნენ.

იძულებული გავხდი, გამეგრძელებინა წერილების გზავნით **„კედელზე ცერცვის შეყრა“.** ასეთი შედარება იმიტომ მომაქვს, რომ კონფლიქტების თემაზე სერიოზული მუშაობა არავის აინტერესებს. ვისაც აინტერესებდა და ქმედითი ნაბიჯის გადადგმასაც გეგმავდნენ, ერთი უკვე ამ ქვეყანაზე აღარ არის, მეორე კი 2003 წლის შემდეგ ქვეყანაში არ არის. ლევანის თქმის არ იყოს, სანამ უნდა ვწერო? ამ კითხვაზე უმარტივესი პასუხი ვიპოვე, კერძოდ: ჩვენი საუბარი (რომელიც ჯერ არ დასრულებულა) შეასრულებს ხელისუფლებისთვის გაგზავნილ ღია წერილის ფუნქციას. ამ წერილის წაკითხვა შეეძლება ნებისმიერ მსურველს და საზოგადოება თავად გადაწყვეტს: საჭიროა თუ არა სოხუმთან და ცხინვალთან თანამშრომლობა, საჭიროა თუ არა ხუთეულის ფორმატის შექმნა და საერთოდ საჭიროა თუ არა კონფლიქტების დასრულებაზე ზრუნვა თუნდაც მხოლოდ დეოკუპაციის მიღწევის მიზნით.

— თქვენ ხშირად ხმარობთ ტერმინს „კონფლიქტების სამართლიანი დასრულება“. რას გულისხმობთ ან რას ხედავთ სამართლიანობაში?

— სამართლიანობაში ვგულისხმობ თბილისის, სოხუმის და ცხინვალის თვალით დანახულ დიამეტრალურად საპირისპირო სამართლიანობების შეჯერებულ ვარიანტს და ვხედავ კიდევაც ასეთი ვარიანტის ჩონჩხს. თქვენც რომ დაგანახოთ ეს ჩონჩხი, მოვიყვან ციტატას შევარდნაძისდროინდელ „ინტერნეტ გაზეთში“ გამოქვეყნებული სტადიიდან, სადაც ვამბობ: **„...სოხუმი და ცხინვალი ოძროს ავტონომიის სტატუსითაც არ დაბრუნდებიან საძართველოში. ამიტომ ხელისუფლებამ მათ უნდა შესთავაზოს საერთო სახელმწიფოს აშენების იდეა, რომლის ფუნდამენტში ჩაიდება: თბილისის, სოხუმის და ცხინვალის რეალური თანასწორობა. ვინაიდან მათთვის საერთო სახელმწიფო აშენებულია და მრავალსაუკუნოვანი ისტორიაც გააჩნია, მხარეებს გადასაწყვეტი დარჩებათ მხოლოდ რეალური თანასწორობის საკითხი...“** აი ასეთი შინაარსი აქვს ჩემ მიერ დანახულ ჩონჩხს და ხვდებით, ალბათ, რომ რეალურ თანასწორობაში არ ვგულისხმობ სამოქალაქო თანასწორობას. ამ კუთხით პრობლემას ვერ ვხედავ. ამიტომ, რეალურ თანასწორობაში ვგულისხმობ: თბილისის, სოხუმის და ცხინვალის პოლიტიკურ თანასწორობას ანუ სამსუბიექტიან სახელმწიფოს, რომლის ფუნდამენტში ჩაიდება მისივე სუბიექტების პოლიტიკური თანასწორობა.

— გამოდის, ცენტრის ძირითადი სამუშაო წინ არის, ხუთეულის ფორმატში?

— ცენტრს ნამდვილად აქვს ხუთეულის ფორმატში მუშაობის სურვილი, მაგრამ ხუთეულში მხოლოდ კონფლიქტის ძირითადი და მშვიდობისმყოფელი მხარეები იმუშავებენ, ანუ მხოლოდ კონფლიქტის მხარეები. ამიტომ ხუთეულის ფორმატში მუშაობის სურვილისთვის ცოტათი მაინც რომ გამეკაფა გზა, ცენტრი 2015 წელს დავარეგისტრირე სახელით: **„კონფლიქტების მხარე – მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრი“.** მხარედ წოდებულ ცენტრს, ისევე როგორც ხუთეულის ფორმატის ხუთივე მხარეს პირადი მიზანი გააჩნია, კერძოდ, ცენტრის მიზანია:

> **1. საქართველოს კონფლიქტების მიწა-წყალზე მშვიდობის დეფიციტის აღმოფხვრა;**
> **2. დეოკუპაცია;**
> **3. მოსკოვის და ვაშინგტონის ურთიერთობების ამსახველი ვექტორისთვის (რაც დღეს აშკარად დაღმავალია) მიმართულების შეცვლა.**

ამ სამი პუნქტის ერთდროულად რეალიზაციის საშუალებას კონფლიქტების სამართლიანი დასრულება იძლევა. კონფლიქტების სამართლიან დასრულებაზე კი ხუთეული იმუშავებს და ამიტომაც არის აუცილებელი ცენტრისთვის მათთან ერთად მუშაობა.

ხუთეულის ფორმატის შექმნის შემდეგ რა დარჩება ცენტრს გასაკეთებელი?!

ესაუბრა

გურამ გოგიაშვილი

(გაგრძელება იქნება)

გაბედული პრორუსული პოლიტიკა ერთადერთი გზაა საქართველოს გადარჩენისა...

ხელისუფლება და ოპოზიცია ორ პოლიტიკურ პარტიას შორის იდეოლოგიურ დაპირისპირებას გულისხმობს — ეს არის ზოგადად პოლიტიკის კლასიკური განმარტების „ანი და ჰოე“ — თუ ასე თქმა ამ შემთხვევაში უპრიანია?!

თუმცა, ქართულ პოლიტიკასთან მიმართებაში იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური მკრეხელობაა, რადგანაც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ქართულ პოლიტიკაში მოსულ და ვერაფრით წასულ პოლიტიკურ პარტიებსა თუ ცალკეულ „პოლიტიკოსებს“ არანაირი იდეოლოგია (მით უმეტეს ეროვნული) არ გააჩნიათ, რადგანაც მათ ყველას ერთად და ცალკ-ცალკე, ერთი პატრონი, ე.წ. კოლექტიური დასავლეთი (წაიკითხე, აშშ) მართავს...

ერთადერთი გამონაკლისი, გნებავთ მცირე ხნით გამონათება ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება იყო, რომელიც მაშინდელმა მსოფლიო ჰეგემონმა ანგლოსაქსებმა შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების გზით სასწრაფოდ დაამხეს!

მას შემდეგ საქართველო ოკეანეს გაღმელი „დემოკრატების“ მიერ მართული ყოფილი სახელმწიფოა — რასაც „ძია სემი“ უბრძანებს, ისაა საქართველოს „იდეოლოგიაც“ და „დემოკრატიაც“...

ამიტომ არის, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებას ქოც-ნაცთა ხელისუფლებას ვუწოდებ, რადგანაც ისინი ერთი ლიბერასტული ხის ორი სხვადასხვა ტოტები, გნებავთ განშტოებებია — ქოც-ნაცები, რომლებიც პოზიცია-ოპოზიციონერობის თამაშით ლამის 20 წელიწადია გვაბითურებენ, მასხრად გვიგდებენ ნაგვის ბუნკერებში თავჩარგულ ქართველობას.

ეგ კიდევ არაფერი, ქოცნაცები ვერაფერს ხედავენ, არაფერი ესმით, თუ რა ხდება ჩვენ ირგვლივ — რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და ჩინეთის სახალხო სახელმწიფოს თავმჯდომარე სი ძინ პინის პოლიტიკურმა „ჩახუტებამ“ ოფიციალურად აუწყა მსოფლიოს აშშ-ს 30-წლიანი ჰეგემონიის დასასრული და იმის მაგივრად, რომ საქართველომ დიამეტრალურად შეცვალოს საგარეო პოლიტიკა, „მოძმე“ უკრაინის ხელისუფლების მხარდამჭერ რეზოლუციებს ღებულობს საქართველოს პარლამენტი.

მოძმე წინწკლებში იმიტომ, რომ სად ჩანს მათი ძმობა? საქართველოდან გაქცეული არაადეკვატური, შლეგი, კრიმინალი სააკაშვილი, რომ შეიფარეს? თუმცა შეიფარეს კი არა, ოდესის გუბერნატორად დანიშნეს ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოცურავე ექსპრეზიდენტი!

თუ ის არის ძმობა, რომ იგივე სტატუსით ძებნილი ადეიშვილის თამადობით, დღესაც მრავალ სისხლის სამართლის დამნაშავეებს ინახავენ?!

იქით, თურქეთის პრეზიდენტის ვიზიტი კიევში და რეჯეფ ტაიფ ერდოღანის მიერ უკრაინის ჯარისკაცების მისალმება ბანდერულ-ფაშისტური „სლავა უკრაინა, გეროიამ სლავა“! იმის ნიშანია, რომ რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური რომანი დასრულდა და მრავალსაუკუნოვან სტატუსკვოს, მტრობას დაუბრუნდა. რაც იმას ნიშნავს, რომ რუსების მიერ, უფრო სწორად პუტინის მიერ, რომ იტყვიან, ორი თითის გატკაცუნებით სომხეთ-აზერებს შორის ომის შეწყვეტით ამიერკავკასიაში მშვიდობის დამყარების შემდეგ პუტინმა თურქეთის ჯარი იქ არ გააჭაჭანა და ანკარას მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი აკმარეს, ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთი, პუტინის მიერ დამყარებული მშვიდობის არევას ეცდება. ამ შემთხვევაში საქართველოს ნეიტრალიტეტი თითქმის გამორიცხულია.

ერთი სიტყვით, საქართველოს გადასარჩენად საჭიროა მესამე ძალა, რომელიც ვადამდელ თუ ვადიან არჩევნებზე უშიშრად ააფრიალებს ლოზუნგს — **საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად!**

ამ პოტენციის ლიდერად ქალბატონი ნინო ბურჯანაძე მიმაჩნია, რომელსაც ნათელაშვილის ფანჩატურში ყოფნის გამო, რომ იტყვიან, კალამი გამექცა და „მკვდარი პოლიტიკოსი“ ვუწოდე, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი.

მე პოლიტიკოსი არ გახლავართ — ჩემი სამშობლოს, საქართველოს ერთი რიგითი ჯარისკაცი ვარ და უღმერთო, სატანისტი გიგა ბოკერიას გვერდით ტრადიციული ქართული ოჯახის შვილის ნინო ბურჯანაძის დანახვამ მართლაც ჭკუიდან შემშალა...



კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, და ნინო იქნება თუ სხვა, იმას დავუდგები გვერდით, ვისაც დიდი ილიას მსგავსად, საქართველოს ურუსეთოდ, ანუ უბრალოდ, ერთმორწმუნე რუსეთის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია!

დავით მხეიძე

P.S.

რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული, — სწერდა ილია თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისთვის კი, ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ მნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა-არ ყოფნის საკითხთან.

...დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის“...

დ. მ.

ARAVIS SJERODA, ROM SUVERENULI SAQARTVELOZE TAVDASXMA SESAZLEBELI IYO!

ლიეტუვის პრემიერ-მინისტრმა რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში უკრაინის კრიზისზე ისაუბრა და პარალელი 2008 წლის აგვისტოს ომთან გაავლო.

პრემიერმა თქვა, რომ საერთაშორისო პარტნიორებს არც მაშინ სჯეროდათ, რომ 21-ე საუკუნეში სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა შესაძლებელი იყო. მან აღნიშნა, რომ რუსეთის გეგმა „საბჭოთა კავშირი 2-ის“ შექმნაა.

„10-12 წლის წინ საქართველოში დატრიალებულ ამბებამდე სინამდვილეში არავის სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო დღისით მზისით სუვერენულ სახელმწიფოზე თავდასხმა. ჩვენ ყველა პარტნიორს ვაფრთხილებდით. ნახეთ, ეს სერიოზული ცვლილებებია-თქო. შეიძლება ასე იყო ყოველთვის, უბრალოდ ჩვენ ძალიან ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილი, თუ როგორ ხედავდა კრემლი მსოფლიოს. ასეთია მათი ამბიცია — მე ამას ვუწოდებ „საბჭოთა კავშირი 2-ის“ აღდგენისკენ მიმართულ ამბიციებს. ზოგიერთმა ანალიტიკოსმა შესაძლოა, თქვას, რომ ეს უფრო რუსეთის იმპერიალიზმისკენ მიმართული ამბიციებია. ეს ამბიციები რეალურია და შესაძლოა მსგავსი რამ დღისით, მზისით მოხდეს. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ამის აღქმა დაიწყო ყირიმის ანექსიის შემდეგ, რომელსაც მნიშვნელოვანი გარდატეხა მოჰყვა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ბევრი შესაძლოა, შექმნილ ვითარებას ჯერ კიდევ ბლეფად აღიქვამდე“, — ამბობს ლიეტუვის პრემიერ-მინისტრი ინგრიდა შიმონიტე.

იბერია გაბრწყინდება!

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და საზეპურო ერის სამშობლოა, რაც სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ქრისტესთან ძუძუმტეობას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, იმპერიების ინტერესთა გზაშესაყარზე მდგარი საქართველო მუდმივად ახერხებს განსაცდელებთან გამკლავებას. იმის მიუხედავად, რომ მრავალ მტერს სურს საქართველო უქართველებოდ იხილოს, ჩვენი წმინდანი მეფეები დავითი, ვახტანგი, თამარი, მათთან ერთად 300 არაგველი, 100 ათასი მართლმადიდებლობას შეწირული მეტეხელი, ძმები ჩოლოყაშვილები და სხვა მრავალნი, ქვეყნისა და ქართველი ხალხისთვის თავდადებულთა სულები მეოხ გვყოფენ ზეციურ საქართველოსთან.

კორონავირუსამდე უამრავი პანდემია გადაუტანია ქვეყანას და კაცობრიობას. ეს უკანასკნელი, ბოროტმა ძალამ შემოაგდო კაცობრიობის წინააღმდეგ — გლობალისტების მიერ თავსმოხვეული, რათა ქვეყნიერების სათავეში ანტიქრისტე მოიყვანონ.

ყველა სხვა განსაცდელის მსგავსად ღვთის წყალობით ამასაც დავძლევთ. იბერია იყო, არის და იქნება!

ღირსეულად გავუძლოთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ამ განსაცდელს და ბოროტებას, როგორც გაგვიძლია სხვა მრავალისთვის. იბერია აუცილებლად გაბრწყინდება!



„ველოდებით სასოებით იმ ჟამსა და იმ პერიოდს, ღმერთო მალე მოგვასწარი, გაბრწყინებულ იბერიონს!“

გურამ საღარაძე,
ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის სტიქაროსანი

უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი დაარეგისტრირეს როგორც დაზარალებული და არც ცნეს დაზარალებულად!

რაც დრო გადის, სულ უფრო ხანმოკლე ხდება დესტრუქციული „ნაცმოძრაობის“ სიყალბე და მანიპულაცია. ნიკა გვარამიამ და სექტის სხვა სპიკერებმა ზარ-ზეიმით განაცხადეს, რომ უკრაინის პროკურატურამ სააკაშვილი „დაზარალებულა“ ცნო, — წერს სოციალურ ქსელში ანალიტიკოსი **გია აბაშიძე.**

„რაც დრო გადის, სულ უფრო ხანმოკლე ხდება დესტრუქციული „ნაცმოძრაობის“ სიყალბე და მანიპულაცია. ნიკა გვარამიამ და სექტის სხვა სპიკერებმა ზარ-ზეიმით განაცხადეს, რომ უკრაინის პროკურატურამ სააკაშვილი „დაზარალებულად“ ცნო. საქმე ეხება, რუსთავიდან გლდანის ციხეში ეტაპირების დროს განვითარებულ მოვლენებს. ამ ეპიზოდში, მიხეილ სააკაშვილის უფლებების დარღვევის შესწავლა, უკრაინის პროკურატურისგან ექს-პრეზიდენტის ადვოკატმა მოითხოვა, სამართალწარმოების თაობაზე დადგენილება კი საგამოძიებო უწყებამ რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა.

უკრაინელი იურისტის ნატალია ბასარაბის განმარტებით, უკრაინის კანონმდებლობით, პირი, რომელიც უწყებას მიმართავს განცხადებით და ითხოვს გამოძიების დაწყებას, მას ავტომატურად ენიჭება დაზარალებულის სტატუსი. ასე მოხდა სააკაშვილის შემთხვევაშიც, რომელსაც არა პროცესუალურად, არამედ ავტომატურად მიენიჭა აღნიშნული სტატუსი. მარტივად — უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი დაარეგისტრირეს როგორც დაზარალებული და არც ცნეს დაზარალებულად. უკრაინის სამართალდამცველთა დოკუმენტს, რომლის სათაური მანიპულატორმა გვარამიამ დამალა, ეწოდება„დადგენილება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში დაზარალებულის წარმომადგენლის განცხადების დაკმაყოფილებაზე ნაწილობრივად უარის თქმის შესახებ“. სააკაშვილისთვის „დაზარალებულის სტატუსის“ მინიჭება და მისი კანონიერ ძალაში შესვლა არ დაკმაყოფილდა“, — წერს ანალიტიკოსი.

ჩვენს ცუდ ყოფას პოლიტიკური დაძაბულობა განსაზღვრავს!

საქართველო „ეკონომისტის“ ანგარიშში – „დემოკრატიის ინდექსი“

დემოკრატიულ სისტემებში მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები – 45.7% ცხოვრობს. ახალ მონაცემებს ბრიტანული ჟურნალი „ეკონომისტი“ აქვეყნებს. სხვადასხვა ხარისხის დემოკრატიულ სისტემებში მცხოვრებთა რაოდენობა 2020 წელს უფრო მეტი – 49.4% იყო. ანალიტიკოსების მიერ გამოკვლეული 167 ტერიტორიიდან მხოლოდ 21 იყო კლასიფიცირებული, როგორც სრული დემოკრატია. ეს კი მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 6.4%-ს შეადგენს. მაშინ, როდესაც მოსახლეობის 53% „ხარვეზიანი დემოკრატიების“ პირობებში ცხოვრობს.

გამოცემა ყოველწლიურ „დემოკრატიის ინდექსს“ 2006 წლის შემდეგ აქვეყნებს. იკვლევენ 165 ქვეყანასა და ორ ტერიტორიას. ეს მსოფლიოს თითქმის სრულ მოსახლეობას და სახელმწიფოთა უდიდეს უმრავლესობას მოიცავს. ინდექსი ხუთი ძირითადი კატეგორიის მიხედვით ითვლება: საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკური მონაწილეობა, პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო უფლებები. ამ კატეგორიების მიხედვით, ქვეყნები დემოკრატიის ხარისხის 4 კატეგორიაში ერთიანდებიან: „სრული დემოკრატია“, „ხარვეზიანი დემოკრატია“, „ჰიბრიდული რეჟიმი“ ან „ავტორიტარული რეჟიმი“.

საქართველო და რეგიონი

5.12 ქულით საქართველო მსოფლიოში 91-ე, **რეგიონში კი მე-19 ადგილს იკავებს და „ჰიბრიდული რეჟიმების“ კატეგორიაშია. ყველაზე მაღალი – 7.42 ქულით შეფასებულია საარჩევნო პროცესები და პლურალიზმი. ყველაზე დაბალი – 3.57 ქულით კი „მთავრობის ფუნქციონირება“. საქართველოს პოზიციები ამ ანგარიშში 2020 წელთან შედარებით გაუარესებულია, თუმცა პოზიცია ლიბიასა და ჰონდურასს შორის შენარჩუნებულია. 2020 წელს მას 5.31 ქულა ჰქონდა მინიჭებული.**

ანგარიშში ნათქვამია, რომ აღმოსავლეთ ევროპის „ჰიბრიდული დემოკრატიის“ ქვეყნებიდან ორში – სომხეთსა და ბოსნია ჰერცოგოვინაში გაუმჯობესება გამოვლინდა, საქართველოსა და უკრაინის შეფასებები კი გაუარესდა. უკრაინაში აღმოსავლეთ ევროპის იმავე კატეგორიის ქვეყნებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კლება დადასტურდა და ის ახლა 86-ე ადგილზეა მექსიკასთან ერთად მაშინ, როცა 2020 წელს ის 97-ე ადგილს იკავებდა. მკვლევრები ამ კლებას რუსული აგრესიის პირისპირ ყოფნას უკავშირებენ და ამბობენ, რომ სამხედრო აგრესიის რისკები და დაძაბულობა ხშირად იწვევს ზოგიერთი დემოკრატიული პროცესის შეზღუდვას, განსაკუთრებით ძალაუფლების ცენტრალიზაციის კუთხით.

კონკრეტულად საქართველოს შესახებ ანგარიშში ნათქვამია, რომ რამდენიმე ტურბულენტურმა მოვლენამ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები შეაფერხა. დაძაბულობა მმართველ პარტია „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ექსპრეზიდენტის დაკავების კულმინაციით დასრულდა. ადგილობრივ არჩევნებში კი, რომლის დროსაც მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში დაბრუნდა და დააპატიმრეს, საერთაშორისო დამკვირვებლებმა დარღვევები დააფიქსირეს. ანგარიშში განმარტებულია, რომ მმართველ პარტიას საგულისხმო ფინანსური და ფუნქციური უპირატესობები აქვს, რაც საარჩევნო კონკურენციისა და გამჭვირვალობას კიდევ უფრო აფერხებს. გამწვავებულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ კი გასულ წელს კიდევ უფრო გააღრმავა სოციალური დაყოფა.

2021 წელს აღმოსავლეთ ევროპაში პოზიციები 13-მა ქვეყანამ გაიუმჯობესა. მათ შორის ყველაზე დიდი გაუმჯობესება მოხდა მოლდოვასა და მონტენეგროში. 11 ქვეყანაში ქულები გაუარესდა, მათ შორის ყველაზე მეტად – ყირგიზეთში. რეგიონში კვლავ არცერთი „სრული დემოკრატიის“ ქვეყანა არაა. 28 გამოკვლეული ქვეყნიდან 16 „ხარვეზიანი დემოკრატიაა“, 4 - „ჰიბრიდული რეჟიმი“ (საქართველო, უკრაინა, სომხეთი, ბოსნია ჰერცოგოვინა) და 8 „ავტორიტარული რეჟიმი“ (აზერბაიჯანი, ბელარუსი, რუსეთი და ცენტრალური აზიის ყველა სახელმწიფო).

უმაღლესი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები

გლობალურად დემოკრატიების სიის სათავეში ნორვეგია, ახალი ზელანდია და ფინეთი არიან. ბრიტანეთი მე-18 ადგილს იკავებს, ამერიკა კი, რომელიც წელს „ნაკლოვანი დემოკრატიების“ კატეგორიაში მოხვდა, წინა წელთან შედარებით, ერთი საფეხურით დაბლაა და 26-ე ადგილს იკავებს. მსოფლიო რეგიონებს შორის ვითარება ყველაზე მეტადაა გაუარესებული სამხრეთ ამერიკაში. რეგიონში 7 ქვეყნის პოზიციები გაუარესდა. აზიაში კი სამი ქვეყანა სრული დემოკრატიების კატეგორიაში - იაპონია, სამხრეთ კორეა და ტაივანი.

10 ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა „ეკონომისტის“ თანახმად, არის: **ნორვეგია, ახალი ზელანდია, ფინეთი, შვედეთი, ისლანდია, დანია, ირლანდია, ტაივანი, ავსტრალია, შვეიცარია. ყველაზე უარესი დემოკრატიის ძვეყნებს შორის კი ლიდერობენ: ავღანეთი, მიანმარი, ჩრდილოეთ კორეა, ლაოსი, ჩინეთი, კამბოჯა, ვიეტნამი, პაკისტანი, ნეპალი, ჰონგ კონგი.**

გაუარესების შესაძლო მიზეზები

ანგარიშის ავტორები წერენ, რომ ეს შედეგები გლობალურად კოვიდ-19-ის პანდემიის უარყოფით და გრძელვადიან გავლენას ასახავს.

მათი განმარტებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკეთილდღეოდ მიღებული ზოგიერთი შეზღუდვა ამა თუ იმ მთავრობამ სამოქალაქო უფლებების შესაზღუდადაც გამოიყენა და მოქალაქეთა ნაწილისთვის პანდემიურ ვითარებაში ამ სიტუაციის – საგანგებო ძალების და ვითარების ზედმეტად გამოყენების, სახელმწიფოს უფლებამოსილების საჯარო და პირადი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტზე ზედმეტი გავრცელების და სხვა კუთხით – ერთგვარი ნორმალიზებაც კი გამოიწვია.

ეკა მაღალდაძე

ბიუჯეტის ზედმეტი ხარჯი და კლინიკის მფლობელთა გასქელებული ჯიბე

საყოველთაო დაზღვევა პაციენტებისთვის თუ კლინიკისთვის?!

მგონი, აქსიომად არის ქცეული: ვიდრე ექიმის ხელფასი პაციენტების რაოდენობაზეა დამოკიდებული, პაციენტის სწრაფად გამოჯანმრთელება არც ექიმს აწყობს და არც იმ კლინიკის მფლობელს, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებშია ჩართული. თუმცა, არც სხვა კერძო კლინიკებია გამორჩეული – ყველა მათგანს ყავს ე.წ. გამწევი „ძალა“, ანუ ცნობილი სპეციალისტი და ადამიანებიც ამის გამო ირჩევენ ამა თუ იმ კლინიკას და, მერე რა ხდება? ამაზე შემდეგ მოგახსენებთ. მანამდე კი ვეწვიოთ ე.წ. „ოჯახის ექიმს“. ისე, დღემდე ვერ ვხვდები, რატომ ჰქვიათ „ოჯახის ექიმები“, თუმცა ხშირად მინახავს წარწერა „პირადი ექიმი“.

ნამდვილი ოჯახის ექიმები კომუნისტების დროს იყვნენ, როდესაც ყველა უბანს თავისი პოლიკლინიკა და ექიმი ემსახურებოდა, მოზრდილებს და მოზარდებს – ცალ-ცალკე, ადგილზეც და გამოძახებითაც. ყველა პოლიკლინიკას თავისი სპეციალისტი ყავდა: კარდიოლოგი, ქირურგი... რომლებიც არ იყვნენ სხვადახვა კლინიკებში გადარბენაზე. თუ პაციენტს რაიმე პრეტენზია ჰქონდა სპეციალისტის არჩევის თვალსაზრისით, კი ბატონო, „კორიფეების“ მისაღებშიც დაიკავებდი რიგს და თან მიიტანდი სრულიად უფასოდ გაკეთებული საჭირო ანალიზების პასუხებს, რომელსაც ყველა ენდობოდა, ანუ სანდოობის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა.

და, აი, მოვხვდი ერთ პატარა კლინიკაში, სადაც გამწევი ძალა გერმანიაში ნამუშევარი სპეციალისტი გახლდათ. სხვა მრავალი კლინიკის მსგავსად ეს კლინიკაც მრავალსართულიანი შენობის ერთი სართულის ერთ ფლიგელშია განთავსებული და ყველა საჭირო საკვლევი ლაბორატორია-კაბინეტით არის აღჭურვილი.

პირველი ვიზიტის შედეგი: ხელში მიჭირავს ათამდე ჩამონათვალი იმ ანალიზებისა, რომლებიც აქვე უნდა ჩავიტარო. ჩემ ხელთ არსებულ გამოკვლევათა პასუხებს, რომელიც ოჯახის ექიმისგან წინა დღით წამოვიღე, აქ არ სცნობენ. გადასახდელი თანხაც სოლიდური გამოდგა, პლუს, ამასთან, მკურნალ ექიმთან ვიზიტები. გამოდის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიც ვაზარალე, მეც დავზარალდი... და ასე რამდენი ადამიანი იკეთებს ანალიზებს პროგრამულად ყოველდღიურად! და კვლავ გრძელდება ბიუჯეტის უაზრო ხარჯვა.

ჯერ ერთი ის, რომ ოჯახის ექიმთან პაციენტისთვის განკუთვნილი დრო, 20 წუთი, სრულიად არასაკმარისია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვიზიტის განმავლობაში ექიმი ძირითადად დაკავებულია კომპიუტერთან მუშაობით და იშვიათად – პაციენტის გასინჯვით... იწერება უამრავი მიმართვა, იხარჯება უამრავი ქაღალდი და, რაც მთავარია, დრო. გეგმიურად დღის განმავლობაში ოჯახის ექიმმა უნდა მიიღოს 18 პაციენტი და ბიუჯეტიდან ამოქაჩოს დაახლოებით 900 ლარი, საიდანაც, როგორც თავად ექიმები აცხადებენ, მათ ანაზღაურებას მიზერული თანხა ხმარდება.

მაგრამ ძაღლის თავი სხვა რამეშია დამარხული. ვთქვათ, უეცრად ამტკივდა ყელი ან ყური. მე არ მაქვს უფლება მიმართვის გარეშე მივაკითხო ყელ-ყურის ექიმს, მიმართვა კი უნდა მომცეს ოჯახის ექიმმა, რისთვისაც აუცილებელია მასთან წინასწარ ჩაწერა. ჩასაწერად უნდა ავკრიფო შესაბამისი ტელეფონის ნომერი, დიდი ხნის განმავლობაში ვუსმინო მუსიკას და სარეკლამო განცხადებებს და თუ გამიმართლა და ოპერატორი მიპასუხებს, ვთხოვ ჩამწეროს ოჯახის ექიმთან ვიზიტით ან სატელეფონო კონსულტაციით.

– ამ კვირაში ყველა დღე დაკავებულია, – თავაზიანად მპასუხობს ოპერატორი.

– მე რომ სასწრაფოდ მჭირდება, რა ვქნა?

– იძნებ, ცოცხალ რიგს დაელოდოთ და სთხოვოთ, რომ მიგიღონ... – მირჩევს ოპერატორი.

და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რათა გამოიწეროს დამატებითი მიმართვა ოჯახის ექიმთან, რაშიც ბიუჯეტმა უნდა გადაიხადოს დამატებით 50 ლარი.

შემდეგ აუცილებელ პროცედურას იგივე ოპერატორთან ყელ-ყურის სპეციალისტის გრაფიკის მოძებნა და შეთანხმება წარმოადგენს. მაშასადამე, სრული სქემა ასეთია: დარეკვა კლინიკაში, რეგისტრატურა, ოჯახის ექიმი, მიმართვა, კვლავ რეგისტრატურა, მიმართვა სპეციალისტთან გადახდის დამადასტურებელი 50-ლარიანი ქვითრით.

აქედან გამომდინარე, ყელ-ყურის ექიმთან, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მოვხვდე ერთი კვირის შემდეგ, რაც ბიუჯეტს დაუჯდება 100 ლარი. ამასობაში ტკივილი, რა თქმა უნდა, მაწუხებს და... იძულებული ვარ სხვა კლინიკას მივაკითხო, ხოლო იქ რაც ხდება, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

საინტერესოა, რისთვის არსებობს ელექტრონულად პაციენტის ისტორია, რა საჭიროა ამ შემთხვევაში ოჯახის ექიმის მიმართვა და ამდენი ქაღალდის, დროისა და თანხის ხარჯვა, და თუ ამას დავუმატებთ ზოგიერთი პაციენტის ახირებას, რომ ხშირ-ხშირად იაროს ექიმებთან და იკეთოს ანალიზები, გასაგები გახდება ბიუჯეტის სერიოზულად გაზრდილი ხარჯი და კლინიკების მფლობელთა ჯიბეებში გადაქაჩული თანხა.

სამწუხაროდ, ისეც ხდება ხოლმე, რომ საყოველთაო დაზღვევით ზოგიერთ კლინიკაში მისულ პენსიონერ პაციენტებს უარს ეუბნებიან ასე თუ ისე კარგ სპეციალისტთან მოხვედრაზე. ფარისებრი ჯირკვლის ოპერაციის შემდეგ ოჯახის ექიმის რჩევით „ევექსის“ კლინიკაში კონსულტაციაზე მოვხვდი ენდოკრინოლოგ ქათამაძესთან. რამდენიმე ვიზიტის შემდეგ რეგისტრატურაში განმიცხადეს, საყოველთაო დაზღვევის პაციენტებს ქათამაძე აღარ ემსახურებაო. ვერ გეტყვით, ეს გადაწყვეტილება პირადად ქათამაძემ მიიღო თუ კლინიკის ხელმძღვანელობამ, თუმცა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა და თან ეს ცალკე ისტორიაა...

ლიანა სუთიძე,
პროფესორი

საჩხერეში სამთო მომზადების ზამთრის კურსი დასრულდა...



პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში „ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის (PfP) ფარგლებში შუალედური სამთო მომზადების ზამთრის კურსი დასრულდა.

ქართველ და უცხოელ სამხედროებს კურსის წარმატებით დასრულება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ზაზა ჩხაიძემ და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალმა, პოლკოვნიკმა ზურაბ ხვიჩიამ მიულოცეს. ღონისძიებას პოლონეთისა და უკრაინის თავდაცვის ატაშეები: პოლკოვნიკი ადამ აუდჟიეჟი, მაიორი სერჰიი კრავჩუკი და ნატოს სამხედრო მეკავშირე ოფიცერი საქართველოში, პოლკოვნიკი რუშენ აბიდინოღლუ დაესწრნენ.

ზამთრის შუალედურ სამთო კურსში 9 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა, მათ შორის 3 პოლონელი, 2 უკრაინელი და 4 ქართველი. კურსი ერთი თვის განმავლობაში ორ ლოკაციაზე მიმდინარეობდა. პირველი კვირა სამხედროებმა ახალქალაქში, აბულის სამთო სასროლეთზე გაატარეს, სადაც მათ ზღვის დონიდან 2000 მეტრზე და ზემოთ, ცივ კლიმატურ პირობებში სროლის წესები შეისწავლეს და სროლის შესაბამისი გამოცდაც ჩააბარეს, ხოლო მეორე ეტაპი გუდაურში ჩატარდა, სადაც სამხედროები ქართველი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მაღალმთიან რელიეფზე თოვლში გადაადგილების ტექნიკას, გაუკვალავ თოვლში სრიალს, დაშავებულის ძებნა-გადარჩენა-ევაკუაციას, დაბრკოლებათა ზოლების მოწყობასა და გადალახვას მთიან რელიეფზე, ასევე მაღალ მთაში უსწორმასწორო რელიეფზე თხილამურებით გადაადგილების წესებს დაეუფლნენ. მათ თოვლიან რელიეფზე მარშირება, თოვლში თავშესაფრის მოწყობა (ე.წ. იგლუ) და მასში ღამის გათენებაც მოუწიათ. კურსის ბოლო კვირას სამხედროებმა ყველა შესწავლილ მიმართულებაში შესაბამისი პრაქტიკული ტესტი ჩააბარეს, რის მიხედვითაც მათ საბოლოო კვალიფიკაცია მიიღეს. წარმატებულ კურსდამთავრებულებს რეკომენდაცია გაეწიათ, მონაწილეობა მიიღონ ზაფხულის მაღალი მთის კურსში.

თავდაცვის ძალებს „დელტას“ წარმოებული სპეცმანქანები გადაეცა

საქართველოს თავდაცვის ძალებს სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ წარმოებული შვიდი ერთეული „დიდგორის“ ტიპის მრავალმიზნობრივ პლატფორმაზე შექმნილი სპეციალიზირებული კავშირგაბმულობის მანქანა გადაეცა.

მათივე ინფორმაციით, ჯავშანმანქანების გადაცემის ცერემონიალი ვაზიანში, მე-4 ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა. თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელმა პირებმა გამოფენილი ჯავშანმანქანები დაათვალიერეს და მათ ტექნიკურ-ტაქტიკურ მახასიათებლებს გაეცნენ.

შვიდი ერთეული ინტეგრირებული ქსელების მანქანა თავდაცვის ძალების მოთხოვნებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით დაპროექტდა და შეიქმნა.

კავშირგაბმულობის მანქანის ეკიპაჟი ოთხი სამხედრო მოსამსახურისგან შედგება. ჯავშანმანქანა ბრიგადის დონის საჯარისო შენაერთის შტაბსა და საბრძოლო ქვედანაყოფებს შორის გამართული კავშირის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება. ინტეგრირებული ქსელების მანქანა სხვადასხვა კალიბრის ვაზნებისა და აფეთქებისგან დაცვას საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის შესაბამისად უზრუნველყოფს.

სამუზეუმო ფონდების თანამშრომლებს ხელფასები ეზრდებათ

სანამ ვიძნები თანამდებობაზე, შევეცდები ჩემს მომდევნო კულტურის მინისტრს დავუტოვო უკეთესად მართული სამუზეუმო ფონდები. ყოველ შემთხვევაში სწორად აღწერილი, პასპორტიზაცია ჩატარებული და სწორად მართული იმ კეთილსინდისიერი თანამშრომლებით, რომლებიც სისტემაში რეორგანიზაციის შედეგად დარჩნენ და რომელთაც ჩვენ მცირედით, მაგრამ უკვე გავუზარდეთ ხელფასი, — ამის შესახებ თეა წულუკიანმა გადაცემაში „იმედი LIVE“ განაცხადა.

„ხელფასების ზრდა უნდა გაგრძელდეს, იმიტომ რომ ამ ადამიანებმა თავიანთი რეალურად ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად მოიტანეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. მართალია, ქაოსური მართვის პირობებში, მაგრამ ეს რიგითი თანამშრომლის ბრალი არ არის, ეს არის ცუდი მენეჯმენტის ბრალი. აქვე, რა თქმა უნდა, პატივს მივაგებ იმ ადამიანებს, ვინც ამბობდა, იბრძოდა, არავინ უჯერებდა და უმტყუნა გულმა ან სხვა პრობლემა შეექმნათ ჯანმრთელობის და დღეს ჩვენთან აღარ არიან. ასეთია, მაგალითად, საგანძურის მცველი ელენე კავლელაშვილი“, — განაცხადა წულუკიანმა.

პენსიონერს შეუძლია დაწერის განცხადება და 6 თვით სხვა ბანკში გადაიტანოს მომსახურება

2009-2010 წლამდე სახელმწიფო იხდიდა დააახლოებით 40 მილიონამდე ლარს და შემდეგ გამარჯვებული კომპანია ამას ურიგებდა პენსიონერებს. მერე მოხდა ისე, რომ „ლიბერთი“, რომელსაც მაშინ „სახალხო ბანკი“ ერქვა, სააკაშვილთან დაახლოებულმა პირებმა შეიძინეს და სახელმწიფოს უთხრეს, არ გვინდა თქვენი ფული, პენსიონერებთან მიგვიშვითო და აქედან დაიწყო, მათი გატყავება, — ასე ვთქვათ, პენსიონერებს ურიგებდა, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ „ქრონიკაში“ განაცხადა.

„ჩვენ როდესაც მოვედით ხელისუფლებაში 2012 წელს, ხელშეკრულების ვადა მაინც დატოვებული იყო, სააკაშვილს თავისი ბიზნესპარტნიორებისთვის გადაფორმებული 100%-იან სესხებში, ეს ჯერ შევამცირებინეთ 70, შემდეგ კი 50%-მდე. შემდეგ, როდესაც 50% არ მოეწონათ, გაყიდეს და შემოვიდა ახალი ხელმძღვანელობა „ლიბერთი ბანკში“. ისინი გაგებით მოეკიდნენ ჩვენს შეთავაზებას და უფრო დაბლა დაწიეს პროცენტი და უკვე 30-35%-ის ფარგლებში იყო ეფექტიანი განაკვეთი“, — განაცხადა ზარქუამ.

„ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩა და იუდა რამდენი!“

საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრების თაოსნობით (თავმჯდომარე **პანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჟიჟინაძე**) ღია ცის ქვეშ„ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღში გაიმართა წიგნის საჯარო კითხვის დღე.

მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრებთან ერთად წიგნის საჯარო კითხვაში მონაწილეობა მიიღეს სპეციალურად მოწეულმა სტუმრებმა ოპერის წამყვანმა სოლისტებმა: **მაყვალა ასპანიძემ, მარიკა ჩიტიძემ, ირინა ალექსიძემ, არმაზ დარაშვილმა, ლევან მაკარიძემ, ოთარ შიშინაშვილმა.** მათ წაიკითხეს ზვიად გამსახურდიას ლექსები, მათ შორის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ლექსმა „ქრისტეშობა“.

...ზეცად ასულს უკან გაგყვა ლოცვა —
ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩა და იუდა რამდენი!..

დიდი ოვაცია ხვდა წილად დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრის, ახალგაზრდა დეკლამატორის **მარიამ ტოხიშვილის** მიერ წაკითხულ ლექსებს ცნობილი პოეტების მზია ხეთაგურის და თემურ ჩალაბაშვილის შემოქმედებიდან.

გულშიჩამწვდომი გახლდათ დედოფლისწყაროელი პოეტის **ჯუმბერ უთრუთაშვილის** მიერ წაკითხული ლექსები წიგნიდან „ზედაშე“.

საკუთარი ლექსებით წარდგა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი პოეტი **ნანა საბანაძე,** რომელმაც თავისი პოეზიით კიდევ ერთხელ გაუთბო გული წიგნის მოყვარულებს.

ღონისძიებას უძღვებოდა ხელოვნებათმცოდნე, ქართულ-ამერიკული სკოლის პედაგოგი **ია ხურცილავა,** მან უღრმესი მადლობა გადაუხადა ოპერის მეგობარს, პროექტის ავტორს და ორგანიზატორს **ნანა ჭიჭინაძეს,** რომელმაც პანდემიის პიკის პერიოდში შეძლო და შეკრიბა ძვირფასი საზოგადოება დევიზით: **„იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“**

მსოფლიო საჯაროდ კითხვის დღე ოპერის სოლისტების შესრულებით კახური „მრავალჟამიერით“ დასრულდა..

მარიკა პოპიაშვილი
დედოფლისწყარო

ჩვენთვის „უცნობი“ ნობელიანტები

გამომცემლობა „არტანუჯის“ სერია „თან საკითხავი“ წიგნები მართლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს წიგნის მოყვარულთა შორის, რადგან თითოეული გამოცემა ერთი საინტერესო თემისა და პიროვნების გარშემო შეკრებილ ინფორმაციებს აერთიანებს. პოპულარობასა და სერიისადმი ინტერესს ისიც განაპირობებს, რომ ეს კრებულები ერთი ამოსუნთქვით იკითხება, შეკრებილია პროფესიონალების მიერ, მოიცავს ამა თუ იმ პიროვნებისა თუ პოპულარული თემის ბევრ, ჯერაც უცნობ ინფორმაციას, რომლებიც წლებისა თუ საუკუნეების განმავლობაში თქმულებებად გადაეცემოდა თაობებს და თითქოს დაუჯერებელიც იყო. სერიის ყველა წიგნი უხვადაა ილუსტრირებული.

სულ ახლახან მკითხველმა მიიღო „თან საკითხავის“ რიგით მესამოცე წიგნი — **„ნობელიანტები ყველა ქვეყნისა (მწერლები)“**, რომლის შემდგენელიც გახლავთ ცნობილი პუბლიცისტი და გამომცემელი **კახმეგ კუდავა**. ამ კრებულში ერთადაა აკინძული 118 ამბავი, მოყოლებული 1901 წლიდან (როდესაც დაარსდა ეს პრესტიჟული პრემია) 2021 წლამდე. საინტერესოა ისიც, რომ პრემიის დაარსების დღიდან გაცემულია 118 ნობელის პრემია ლიტერატურაში.

ნობელიანტებს საზოგადოება არაერთგვაროვნად აღიქვამს, ზოგი აღტაცებით, ზოგიც გულგრილად, მაგრამ ეს გენიოსები, რომ განსხვავებული, თავისებური ცხოვრებით ცხოვრობენ, ბევრისთვის არახალია.

ავტორ-შემდგენელმა შეძლო მეტად საინტერესოდ წარმოეჩინა თითოეული მათგანის ცხოვრების მომენტები, რომელიც ბევრისთვის შეუცნობლის ბურუსში იყო გახვეული, ბევრს გასართობად მოგონილ ანეკდოტად მიაჩნდა, ბევრს გადამეტებულად, ბევრს სასაცილოდ და ბევრს სატრაბახოდ, მაგრამ ფაქტია — ისინი, მიუხედავად ამისა, რომ გენიოსები არიან, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და მათთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. ამიტომაც მეტად საინტერესოა მათი ცხოვრებისეული ეპიზოდები მკითხველისთვის.

მამუკა ვაშაკიძე

ამბავი რუსეთ-ჩინეთის ჩახუტებისა და თურქულ-სომხური ახალი ურთიერთობისა...

ამერიკის და, ზოგადად, დასავლეთის ურთიერთობა ჩინეთთან დაიძაბა, და რუსეთთან გაფუჭდა. სამაგიეროდ, ახლა, ჩინეთმა და რუსეთმა შეკრეს პირი დასავლეთისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. 5 თებერვალს, ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით, ვლადიმირ პუტინი ეწვია. რუსეთის პრეზიდენტი პეკინში ჩავიდა, რათა ზამთრის ოლიმპიადის გახსნაზე ჩინეთის ლიდერის გვერდით მდგარიყო, და რომ ეს მთელ მსოფლიოს დაენახა. გახსოვთ, ალბათ, რომ დასავლეთის, და არა მხოლოდ დასავლეთის, არაერთმა ქვეყანამ, მაგალითად, ინდოეთმა ჩინეთის ოლიმპიადას დიპლომატური ბოიკოტი გამოუცხადა. ოლიმპიადის გახსნამდე, ჩინეთისა და რუსეთის პრეზიდენტთა მეგობრული შეხვედრა შედგა. პუტინი პირველი უცხოელი ლიდერია, რომელსაც ჩინეთის ხელმძღვანელმა პანდემიის ორი წლის მანძილზე უმასპინძლა.

ამ შეხვედრაზე სავაჭრო ხელშეკრულებები გაფორმდა. სახელდობრ, რუსეთის კომპანია როსნეფტი, 10 წლის განმავლობაში, ყაზახეთის გავლით, ჩინეთს ნავთობს მიაწვდის, გაზპრომი კი, 10 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს. ასევე, გადაწყდა ახალი გაზსადენის, ციმბირის-ძალა-2-ის მშენებლობის საკითხიც, რომელსაც მონღოლეთის გავლით გაიყვანენ. მთლიანად, მომდევნო წლებში, რუსეთი ჩინეთს 117 მილიარდი დოლარის ღირებულების გაზსა და ნავთობს მიაწვდის. შეხვედრაზე აღინიშნა ჩინეთსა და რუსეთს შორის ვაჭრობის მოცულობის დინამიური ზრდა. 2021 წელს, მხარეებს შორის ვაჭრობის მოცულობამ რეკორდული 147-ი მილიარდი დოლარი შეადგინა. ორივე მხარეს სურს, რომ ეს ოდენობა 200 მილიარდამდე ავიდეს. გარდა ამისა, განიხილეს დასავლეთის სანქციების უვნებელყოფის გზები. რუსეთის მთავრობის განცხადებით, ორ-სამ წელიწადში რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთთან სავაჭრო ოპერაციებს თავიანთი ვალუტით განახორციელებენ. რა თქმა უნდა, მოლაპარაკების მთავარი თემა, დასავლეთთან, კერძოდ, ნატოსთან დაპირისპირება იყო. გაკეთდა ერთობლივი განცხადება, რომელმაც დაადასტურა მხარეების მტკიცე მზადყოფნა ერთმანეთის ძირეული ინტერესების მხარდასაჭერად.

რუსეთ-ჩინეთის ახალი ტიპის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა აღემატება ცივი ომისდროინდელ სამხედრო-პოლიტიკური კავშირს. ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობა უსაზღვროა, ნათქვამია განცხადებაში. ჩინეთმა გაიზიარა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ მოსკოვის პოზიცია. რუსეთმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ერთი ჩინეთის პრინციპს და აღნიშნა, რომ ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია და ეწინააღმდეგება ტაივანის დამოუკიდებლობის ნებისმიერ ფორმას. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ჩინეთი გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს რუსეთის მიერ წამოყენებულ წინადადებებს, რომელიც მიზნად ევროპაში უსაფრთხოების გარანტიების შექმნას ისახავს. ამერიკის მთავრობამ გააკრიტიკა რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი განცხადება. დასავლეთის ანალიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ ცივი ომის დამთავრების შემდეგ ჩინეთი პირველად გამოვიდა ასე ღიად დასავლეთის წინააღმდეგ. ჩინეთისა და რუსეთის მზარდმა მეგობრობამ შესაძლოა ძირი გამოუთხაროს ამერიკის ცდილობებს, რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციოს.

* * *

საყოველთაოდ ცნობილი თურქულ-სომხური ისტორიულად მტრული დამოკიდებულების ამბავი, თუმცა, როგორც ჩანს, ურთიერთობა ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის სიკეთისკენ იცვლება. ერთი თვის წინ მოსკოვში თურქეთისა და სომხეთის სპეციალურმა წარმომადგენლებმა, ურთიერთობათა ნორმალიზაციის საკითხზე მსჯელობა გამართეს. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მიმდინარე წლის თებერვლიდან, თურქეთსა და სომხეთს შორის ავიამიმოსვლა აღდგება. მოლაპარაკებათა მომდევნო რაუნდი ვენაში 24 თებერვალს გაიმართება. რატომ არიან თურქეთი და სომხეთი ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ერთმანეთს?

სომხეთი თურქეთს სომეხთა გენოციდში სდებს ბრალს. 1915 წელს მილიონ-ნახევარი სომეხი მოკლეს მაშინდელი ოსმალეთის ტერიტორიაზე. ანკარა უარს აცხადებს მომხდარის გენოციდად ცნობაზე და ამბობს, რომ სომეხი უმცირესობის ამოხოცვა სამოქალაქო ომმა გამოწვია. თავის მხრივ, თურქეთი სომხეთისგან ყარსის ხელშეკრულების აღიარებას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ 1921 წლის 13 ოქტომბერს, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის ქალაქ ყარსში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობით ეგრეთ წოდებული მეგობრობის ხელშეკრულება გაფორმდა ერთის მხრივ, თურქეთის რესპუბლიკასა, და მეორეს მხრივ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის.

მომხდარმა შესაძლებლობა შექმნა თურქეთსა და სომხეთს თავიანთი ურთიერთობისთვის გადაეხედათ. თურქეთი და აზერბაიჯანი კმაყოფილები დარჩნენ ყარაბაღის ომის შედეგებით. ამიტომ, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ომის დამთავრების შემდეგ დიპლომატურ შეტევაზე გადავიდა. მას სომხეთთან ურთიერთობების დალაგება და თურქეთის გავლენის გაზრდა სურს ამ რეგიონში. როგორც ორივე მხარის დიპლომატებმა განაცხადეს, თურქეთი და სომხეთი მოლაპარაკებების დროს დაშვებულ ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებენ. გადაწყდა, რომ ურთიერთობათა დათბობის ამ ეტაპზე არც ერთი მხარე არ წამოაყენებს ძველ, ისტორიულად გადაუწყვეტელ საკითხებს. მათი აზრით, მთავარია, ურთიერთობის ნორმალური გარემო შეიქმნას, თუმცა, ნორმალიზაცია სულაც არ გულისხმობს შერიგებას. დასავლელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ სომხეთი თურქეთს ყოველთვის მტრულად უყურებდა.

დღევანდელმა მთავრობამ კი მთლიანად შეცვალა სომხეთის ხედვა თურქეთის მიმართ. ფაშინიანის მთავრობა დატუსაღებულია თურქეთთან ურთიერთობის დალაგებაში. ომის წაგების შემდეგ სომხეთის მხარე მრავალვექტორულ პოლიტიკაზე გადავიდა. ომმა აჩვენა, რომ სომხეთმა დიპლომატური ომიც წააგო. სომხეთს ყოველთვის რუსეთის იმედი ჰქონდა, მაგრამ ამჟამად რუსეთმა დააღალატა.

როგორც ყველა ანალიტიკოსი, დასავლელი იქნება თუ რუსი, აღნიშნავს, რუსეთის პოზიცია თურქულ-სომხურ ურთიერთობებში კვლავაც დიდ როლს ითამაშებს. ჯერჯერობით, რუსეთი კარგ როლს ასრულებს, მაგრამ არავინ უწყის, როგორ მოიქცევა მოგვიანებით. რუსეთ-თურქეთს არაორდინარული ურთიერთობები აქვთ. ასე დავარქვათ: მეგობრულ-მტრული.

ნუგზარ ბ. რუხაძე
პოსტTV

აღმოსავლეთ ევროპის რომელ ქვეყნებში აქვთ განთავსებული ნატოსა და ამერიკას აღჭურვილობა და ძალები?!

აღმოსავლეთ ევროპაში ნატოსა და ამერიკას ძალები ჰყავთ განლაგებული. კრემლის მიერ ყირიმის ანექსიის გამო რუსეთთან დასავლეთის ურთიერთობის გაუარესების შემდეგ, 2016 წელს ნატომ ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგის უპრეცედენტო გაძლიერების გადაწყვეტილება მიიღო. მოგვიანებით, 2019 წელს აშშ-მა ლიეტუვაში, რუმინეთსა და პოლონეთში საკუთარი ბაზები განათავსა.

აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვასა და პოლონეთში ალიანსს 4 მრავალეროვანი ბატალიონი ჰყავს განლაგებული, რომლებიც როტაციის საფუძველზე მოქმედებენ. **ესტონეთის ბატალიონს გაერთიანებული სამეფო ხელმძღვანელობს, ლატვიისას — კანადა, ლიეტუვისას — გერმანია და პოლონეთისას — აშშ.**

ალიანსმა გასულ თვეს განაცხადა, რომ ბატალიონები **„ძლიერი და საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ძალებია“.**

ცოტა ხნის წინ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ მზად არის სწრაფად გააძლიეროს ეს წარმოდგენილობა რეგიონში დამატებითი ძალებისა და შესაძლებლობების გაგზავნით.

ნატოელი ჯარისკაცის რაოდენობა აღმოსავლეთ ევროპაში თანაბარია:

- **პოლონეთი — 1200;**
- **ესტონეთი — 1200;**
- **ლიეტუვა — 1200;**
- **ლატვია — 1200.**

გარდა ამისა, ნატოს საჰაერო წარმოდგენილობა აქვს ესტონეთსა და ლიეტუვაში, სადაც საერთო ჯამში, 22 მოიერიშე თვითმფრინავია განთავსებული.

ამასთან, ნატოს რუმინეთში უკვე აქვს მოქმედი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, ხოლო პოლონეთში განთავსებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა მიმდინარე წლის ბოლომდე ამოქმედდება.

ამერიკელი ჯარისკაცის რაოდენობა აღმოსავლეთ ევროპაში ასეთია:

- **პოლონეთი — 5700**
- **ლიეტუვა — 450**
- **რუმინეთი — 900**

ცოტა ხნის წინ აშშ-მა განაცხადა, რომ ევროპაში აღმოსავლეთ ფლანგის გასაძლიერებლად დამატებით 3 000 ამერიკელ ჯარისკაცს გზავნის. 300 სამხედრო გერმანიაში, 1700 — პოლონეთში, ხოლო 1 000 — რუმინეთში.

საერთო ჯამში, ამ დროისთვის 12 000-მდე ნატოელი და ამერიკელი ჯარისკაცია განლაგებული აღმოსავლეთ ევროპაში.

ნატო-აშშ და უკრაინა

ნატოს არ ჰყავს ჯარები უკრაინაში და არც იგეგმება ალიანსიდან ჯარების ქვეყანაში გაგზავნა. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა არ არ-

„თუ გსურთ ააშენოთ ქვეყანა...“

ძველისძველი ანეკდოტია: — ძუკუ, შენ რადიოს თუ უსმენ? — ვუსმენ, ჩქიმი პატენი, აბა არ ვუსმენ?! თორემ საიდან მეცოდინებოდა, რომ კარგად ვცხოვრობ?!

ამ შაყირის დაბადების დრო, ცხადია, არავინ იცის, თუმცა მიახლოებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის სადღაც მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში გაჩნდა. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რომ ხალხის აბსოლუტური უმეტესობისთვის მას შემდეგ, არსებითად, არაფერი შეცვლილა.

ახლა კი „გაუბერეთო!“ — იტყვის მავანი, აბა ერთი კარგად მიმოიხედეთ! თქმა არ უნდა, რამდენიმე ათეული წლის წინანდელ ცხოვრების დონეს კი დავშორდით, საგრძნობლადაც, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის ერთ საუკუნეში ხელმეორედ მოპოვების შემდეგაც კი იმასთან თუნდაც რამდენადმე მიახლოებულად არ ვცხოვრობთ, როგორც ყველას გვინდა! ლაპარაკი, რასაკვირველია, ისევ და ისევ მოსახლეობის, აბსოლუტურ უმრავლესობაზეა, თორემ ცალკეული ინდივიდების მთელი ჯგუფები, იცოცხლეთ, ცხოვრებას ნამდვილად არ უჩივიან!

ჩვენ კი ყველას გვინდა, რომ ქვეყანა ერთიანი იყოს, სიმშვიდე სუფევდეს შინ და გარეთ და არც ამდენი ხალხი იყოს ქვეყნიდან გაქცეული ლუკმაპურის საშოვნელად. კიდევ გვინდა... თუმცა, ვფიქრობთ, ჩამოთვლას აზრი არა აქვს — ყველამ ყველაფერი ისედაც მშვენივრად ვიცით. მაგრამ, რაა ამის მისაღწევად საჭირო კონკრეტულად? აი, აქ კი მთავარ სათქმელს მივადექით. ეს კი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ქალბატონის, 1959-1974 წლებში იმხანად ახალბედა ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრის **გოლდა მეირის** სიტყვებია, რომლებითაც მან თავისი მრავალტანჯული ერი დამოძღვრა.

„თუ გსურთ, ააშენოთ ძვეყანა, რომელშიც თძვენი შვილები დაბრუნდებიან; თუ გსურთ, ააშენოთ ძვეყანა, რომელსაც ისინი მხოლოდ შვებულების დროს დატოვებენ; თუ გსურთ, შეძმნათ ძვეყანა, რომელშიც მომავლის შიშის გრძნობა არ გეძნებათ, მაშინ ორი ნაბიჯი მაინც უნდა გადადგათ:

1. კორუფცია უნდა გამოაცხადოთ ღალატის ტოლფასად, ხოლო კორუმპირებული თანამდებობის პირები შერაცხოთ მოღალატეებად მეშვიდე თაობამდე;

2. სამი პროფესიის ადამიანები — სამხედროები, მასწავლებლები და ექიმები აქციეთ ყველაზე პატივსაცემი და მაღალანაზღაურებადი პროფესიების ადამიანებად.

და რაც მთავარია — იმუშავეთ, იმუშავეთ და კიდევ იმუშავეთ, რადგან თქვენ სხვა არავინ გიშველით, სხვა არავინ დაგიცავთ, სხვა არავინ გასწავლით, სხვა არავინ გიმკურნალებთ თქვენივე თავის გარდა!

ისევ თქვენ და სხვა არავის არ სჭირდება თქვენი და თქვენი ქვეყნის წარმატება და კეთილდღეობა!

და როცა ყველაფერი ეს იქნება არა ლიტონი სიტყვები, ანდა რაღაც თვალის ასახვევად შეთხზული ლოზუნგი, არამედ გადაიქცევა თქვენი ცხოვრების გზად, მიზანსაც მაშინ მიაღწევთ!“

დაგვეთანხმებით, პატივცემულო მკითხველო, ჭეშმარიტად ოქროს სიტყვებია! ვინც ისრაელის დღევანდელ ყოფას მეტ-ნაკლები ყურადღებით აკვირდება, ადვილად მიხვდება, რომ გოლდა მეირის ამ სიტყვებმა დიდი გამოხმაურება პოვა ხალხის გულში და ქვეყანა — გამუდმებული სამხედრო დაპირისპირებისა და დაძაბულობების მიუხედავად — აყვავებულ ბაღნარად აქციეს, სადაც მთელ მსოფლიოში განფენილი შვილებიც მიილტვიან და მოსახლეობაც ისრაელს, ძირითადად, შვებულებების დროს ტოვებს!

აი, ასეთად გვინდა ყველას, რომ ვიხილოთ საქართველო, რაზეც ხალხთან ერთად მისმა ხელისუფლებამაც გოლდა მეირივით უნდა იაზროვნოს!

იაზროვნოს და იმოქმედოს!

ოთარ ტურაბელიძე

ფხენიანი პროვოკაციებს აგრძელებს, მაგრამ მასთან დიალოგი საჭიროა

აშშ მზადაა ჩრდილოეთ კორეასთან დიალოგისთვის წინაპირობების გარეშე და არაა მტრულად განწყობილი ფხენიანის მიმართ, — ამის შესახებ პრესკონფერენციაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა განაცხადა. მისივე თქმით, არაა გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ კორეამ გააგრძელოს პროვოკაციული ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის რაკეტების გამოცდა.

„ყველასათვის ნათელია, რომ ფხენიანი ახლა პროვოკაციების ეტაპზეა. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ისინი გააგრძელებენ პროვოკაციებს, განსაკუთრებით მსოფლიოს სხვა ნაწილებში შექმნილი რთული ვითარების ფონზე“ — აღნიშნა ბლინკენმა.

რუსეთმა ყირიმის თავზე საჰაერო სივრცე ჩაკეტა...

14-დან 19 თებერვლამდე რუსეთმა შავი და აზოვის ზღვის თავზე რამდენიმე რეგიონი ფრენებისთვის სახიფათო ზონად გამოაცხადა და ანექსირებული ყირიმის თავზეცა ფაქტობრივად ჩაკეტა. კრემლი ამას შავ და ხმელთაშუა ზღვებში დაგეგმილ ფართომასშტაბიან სამხედრო სწავლებას უკავშირებს,

ეს ზონებია: სევასტოპოლის დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით მდებარე საჰაერო სივრცეები.

ის ნატოს წევრი, ალიანსი ქვეყანას პრაქტიკულ და პოლიტიკურ დახმარებას უწევს.

რაც შეეხება აშშ-ს, პენტაგონის განცხადებით, მხოლოდ 2021 წელს შეერთებულმა შტატებმა უკრაინას დაახლოებით, 450 მლნ დოლარის ოდენობის სამხედროს დახმარება გაუწია, მათ შორის მცირე ზომის იარაღისა და საბრძოლო მასალის პაკეტის მიწოდებით 2021 წლის დეკემბერში.

უკრაინის საზღვრებთან რუსული ძალების თავმოყრის ფონზე საბრძოლო მასალის მორიგი პაკეტი კიევმა ვაშინგტონისგან გუშინაც მიიღო.

* * *

უკრაინის ირგვლივ ვითარება უკიდურესად დაძაბულია. მისი საზღვრის სიახლოვეს რუსული ძალების თავმოყრა კვლავ გრძელდება. დასავლეთში შიშობენ, რომ რუსეთი უკრაინაზე მორიგი სამხედრო აგრესიისთვის ემზადება. კრემლი ბრალდებას უარყოფს და დესტაბილიზაციაში უკრაინის ხელისუფლებას და მის დასავლელ პარტნიორებს ადანაშაულებს.

ყავის სავალალო მომავალი

კლიმატის ზომიერი ცვლილების სცენარის მიხედვით, მსოფლიომ შეიძლება დაკარგოს საუკეთესო ყავის მწარმოებელი მიწების ნახევარი. ბრაზილიაში, რომელიც ამჟამად მსოფლიოში ყავის უმსხვილესი მწარმოებელია, ყავის მოყვანისთვის შესაფერისი მიწების რაოდენობა შეიძლება 79 პროცენტით შემცირდეს.

ასეთი გახლავთ შვეიცარიაში ჩატარებული ახალი კვლევის მთავარი მიგნება. მეცნიერებმა შეაფასეს კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენები ყავაზე, აკაჟუსა და ავოკადოზე. სამივე მათგანი მნიშვნელოვანი გლობალური ვაჭრობის კულტურაა, რომლებსაც ძირითადად მცირე ფერმერები აწარმოებენ ტროპიკებში.

ყველაზე მნიშვნელოვანია ყავა, რომლისგან მიღებული შემოსავალიც, პროგნოზის მიხედვით, 2022 წელს 460 მილიარდი აშშ დოლარი უნდა იყოს. ავოკადოსა და აკაჟუს შემთხვევაში ეს რიცხვები 13 და 6 მილიარდია. ყავა ძირითადად მასტიმულირებელ სასმელად გამოიყენება, ავოკადო და აკაჟუ კი ფართოდ მოხმარებადი საკვები კულტურებია, რომლებიც მდიდარია მონონაჯერი მცენარეული ზეთებით და სხვა სასარგებლო საკვები ნივთიერებებით. ახალი კვლევის მთავარი მესიჯი ის არის, რომ მოსალოდნელი კლიმატური ცვლილებები სავარაუდოდ მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ მცენარეების ზრდისთვის ხელსაყრელი მიწების რაოდენობას იმ მთავარ რეგიონებში, სადაც დღეს ისინი მოჰყავთ. ეს კი თავის მხრივ იმოქმედებს თავად ფერმერებზე და მომხმარებლებზე მთელ მსოფლიოში. ამ დრომდე, საკვებზე კლიმატის ცვლილების სამომავლო გავლენების შესახებ ჩატარებულ კვლევათა უმეტესობა ფოკუსირებული იყო ისეთ ძირითად კულტურებზე, როგორებიც არის ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი და ზეთოვანი კულტურები, რომლებიც ზომიერ რეგიონებში იზრდება.

შედარებით ნაკლები კვლევა მიმდინარეობს ტროპიკულ ეკოსისტემებზე, რომლებიც გლობალური ხმელეთის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს და სამ მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს; პროგნოზის მიხედვით, 2050-იან წლებში მათი რაოდენობა მილიარდი ადამიანით გაიზრდება.

და ნიადაგის პარამეტრების შესწავლა, ისევე როგორც წმინდა კლიმატური ფაქტორების კვლევა, როგორებიც არის ტემპერატურა და ნალექების მახასიათებლები. შედეგად, მკვლევრებმა უფრო დეტალური სურათი მიიღეს იმ სამომავლო გავლენათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება, მნიშვნელოვნად შეცვალოს ზოგიერთი ტროპიკული რეგიონის თავსებადობა გარკვეულ კულტურათა ზრდისთვის. ძირითადად ისეთი ფაქტორების შეცვლის გამო, როგორებიც არის ნიადაგის მჟავიანობა (PH) ან სტრუქტურა. ახალი კვლევა ასევე ავსებს სხვა ახალ კვლევებს ზეთის პალმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უკავშირებენ ტყეების ჩეხვას, ზეთის პალმა ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტროპიკული კულტურაა ადამიანისთვის საჭირო საკვები ნივთიერებების თვალსაზრისით, რომლებიც სამ მილიარდზე მეტ ადამიანს ეხმარება კვებაში. მკვლევრებმა მიმოიხილეს რამდენიმე მოდელირებული ანალიზი ზეთის პალმის დაავადებებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ. დასკვნა ის არის, რომ ამ ხეების ხმობა მნიშვნელოვნად გაიზრდება 2050 წლის შემდეგ; შესაძლოა, ამერიკის კონტინენტზე ამ მცენარის უდიდესი ნაწილი საერთოდაც გაქრეს.

ამას გარდა, ღეროს ლპობის დაავადებები დრამატულად გაიზრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ერთობლივად, ეს კვლევები ჯერ მხოლოდ დასაწყისია იმის გამოვლენისა, რამდენად მოულოდნელი და კომპლექსური განფენილობა აქვს კლიმატის ცვლილების გავლენებს და მასთან დაკავშირებულ ფაქტორებს ტროპიკების ყველაზე მნიშვნელოვან კულტურებზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს გავლენები თანაბრად გადანაწილებული არ იქნება და ზოგიერთმა რეგიონმა კლიმატის ცვლილებით შეიძლება სარგებელიც კი ნახოს.

მაგალითად, ჩინეთის, არგენტინისა და აშშ-ის ტერიტორიების ნაწილი სავარაუდოდ უფრო ხელსაყრელი გახდება ყავის მოყვანისთვის, იმ დროს, როცა ბრაზილიისა და კოლუმბიის მიწების შესაფერისობა შემცირდება.

გამომდინარე აქედან, საჭირო გახდება ტროპიკებში მიმდინარე კლიმატის ცვლილებებზე მორგება. მაგალითად, კონკრეტული კულტურების კულტივაციის გადატანა სხვა რეგიონებში, სადაც კლიმატის ცვლილება უფრო ზომიერი იქნება. თუმცა, ძლიერ სავარაუდო ჩანს, რა ასეთი ზომაც არ უნდა მივიღოთ, მრავალი ტროპიკული მცენარე მომავალში დეფიციტური გახდება და შესაბამისად, უფრო ძვირიც ეღირება. რაც შეეხება ყავას, ის შეიძლება ყოველდღიური, იაფი სასმელი აღარ იყოს და ძვირი სიამოვნება გახდეს, რომელსაც მხოლოდ გამორჩეულ შემთხვევებში დავლევთ, დაახლოებით ისე როგორც კარგ ღვინოს.

კვლევა ჟურნალ PLOS One-ში გამოქვეყნდა.
The Conversation-ის მიხედვით მოამზადა
მიხეილ ჭაბუკაშვილმა

◎ ლეგიონერი

ოვაციები ჩაკვეტაძეს

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის 22-ე ტურში გიორგი ჩაკვეტაძის „ჰამბურგმა“ ერთ-ერთ კონკურენტ „ჰაიდენჰაიმს“ 2:0 მოუგო და მეორე ადგილამდე აღზევდა.

ტიმ ვალტერის გუნდი ოპტიმალურ კონდიციებშია და ქართველი ფეხბურთელის სათამაშო დროც იზრდება. „ჩაკვემ“ ამჯერად 66-ე წუთიდან იბრძოდა და მართალია საგოლე კომბინაციაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ძალიან კარგად გამოიყურებოდა.

გიორგის ბურთი პრაქტიკულად არ დაუკარგავს, ყოველთვის ტექნიკურად, ეფექტურად და რაც მთავარია სწორად თამაშობდა. ამიტომაც იყო, რომ რამდენჯერმე „ფოლკს-პარკშტადიონზე“ შეკრებილი პუბლიკის ოვაციები რამდენჯერმე დაიმსახურა, რაც მიანიშნებს, რომ გერმანული გუნდის ძალიან მომთხოვნი ფანები მას იმედიანად უყურებენ.

ჩაკვეტაძის თამაში სტატისტიკის ვებ-გვერდებმა მაღალი ქულით შეაფასეს: კერძოდ, Whoscored-მა მას 7, Sofascore-მ კი 7.2 ქულა დაუწერა. HSV-მ სონი კიტელის დუბლით მოიგო, რომელმაც ანგარიში 63-ე წუთზე გახსნა, ხოლო 77-ე წუთზე პენალტით სხვაობა ორამდე გაზარდა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

„ჰამბურგს“ 22 ტურის შემდეგ 40 ქულა აქვს და ლიდერებს „ვერდერს“ და „სანკტ პაულის“ მხოლოდ ქულით ჩამორჩება. ტიმ ვალტერის გუნდი მომდევნო ტურში 19 თებერვალს, „ზანდჰაუზენს“ ესტუმრება.

იმავე დღეს დრეზდენის „დინამო“ სტუმრად „პადერბორნს“ უგოლოდ დაუზავდა, საქართველოს ნაკრების მცველ **გურამ გიორბელიძეს** კი ისევ არ უთამაშია – 90 წუთი თადარიგში დარჩა. მას გერმანულ გუნდში ძალიან მწირი სათამაშო დრო აქვს და საიჯარო კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ დიდი ალბათობაა, რომ კლუბი დატოვოს.

იქაც ერთად

ძველი თაობის გულშემატკივარი ქვითინით მომესალმა – ილია მესამეც დავკარგეთო.

ეს ალალი ცრემლი იყო და, დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთის ქომაგთა მთელ არმიას გაუჩინა უზარმაზარი ნაპრალი გულში ტაშკენტის 1964 წლის ოქროს მატჩის გმირის **ილია დათუნაშვილის** გარდაცვალებამ, რომელმაც სახელი ერევნის „არარატის“ კარში ერთ ტაიმში გატანილი 5 გოლითაც გაითქვა.

ბათუმში 84 წლის წინათ დაბადებულ ზღვისპირელ ბომბარდირს მართალთა საუფლოში ღირსეულ მასპინძლობას გაუწევენ დინამოელთა თანავარსკვლავედის ასევე მარად კაშკაშა წევრები **შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, სერგო კოტრიკაძე** და ძმანი მათნი.

ნათელი და სანთელი, დიდოსტატო!

◎ დაუკრეფავში

სიმართლე კი ასეთია

ჩასაფრებულებს რა გამოლევთ, მათი აგრესიის ობიექტთა ფეხის გადაბრუნება გულს რომ უნათებთ და სიტყვიერი თუ წერილობითი ბაირამობისთვის საღერღელს უშლით.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, ეკონომიკაზე, კულტურასა თუ სპორტზე – ენის მოსაფხანად ზოგ-ზოგიერთები ნებისმიერ ასპარეზზე აქტიურობენ და ცეცხლზე ნავთს ასხამენ.

ამჯერად რაგბის ქართველ სპეციალისტს (დიახ, სწორედ ასეა წარდგენილი ეს პიროვნება ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში) **გიორგი ზაბახიძეს** გვსურს გამოვეხმაუროთ, რომელმაც, რომ იტყვიან, პირი აიქაფა და რაგბი ევროპის წლევანდელი გათამაშების სტარტზე პორტუგალიასთან თბილისში ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ მთელ მმმართველ ბირთვს, ხოლო განსაკუთრებით – „ბორჯღალოსანთა“ თავკაც **ლევან მაისაშვილს** გადაუარა, თვით მოთამაშეები კი, პირიქით, შეაქო – აქაოდა შერკინებაში მათს უპირატესობას უნდა ვუმადლოდეთ, წაგებას რომ გადავურჩითო.

და იცით, როდის ხდება ეს? ზემოთ ნახსენებ პრესტიჟულ ტურნირში ჩვენი ქვეყნის ყველაზე წარმატებული ნაკრები გუნდის ზედიზედ 20(!) გამარჯვების შემდეგ, თანაც მალევე მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელი კორონავირუსის უმძიმესი ფორმის შედეგად გავლილი რეაბილიტაციის ხანგრძლივი კურსის შემდეგ სიკვდილს სასწაულად გადაურჩა.

სხვათა შორის, ბიჭები არც ამჯერად დამარცხებულან, მაგრამ ყოველთვის უხერხულ მეტოქესთან ფრედ დასრულებული მატჩიც საკმარისი აღმოჩნდა ასეთი მარგალიტების ამოსაფრქვევად: **„რეგრესის გზას ვადგავართ (სათაური); ყველაფერი ხურციძემაისაშვილის ხუშტურებს ეწირება (ქვესათაური); გუნდს აშკარად ეტყობა, რომ სათანადო მომზადება აკლია, რაშიც, უპირველესად, მთავარი მწვრთნელის დადანაშაულება შეგვიძლია; აშკარად ვერ დავინახეთ მთავარი მწვრთნელის ხელწერა, სისტემა და სტრატეგია; ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სამწვრთნელო შტაბი მოთამაშეებს არანაირ მითითებას არ აძლევდა; ყველაფერ აქამდე იმ ნეპოტიზმმა და არაპროფესიონალიზმმა მიგვიყვანა, რაც რაგბის კავშირში სუფევს – თითქოს მოთამაშეებსაც იმის განცდა აქვთ, რომ უსამართლობა მოხდა (აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული – ისევ სკანდალური გაჭიანურებული საპრეზიდენტო არჩევნების თემა. დიახ, ნიავი ისევ დამარცხებულთა ბანაკიდან უბერავს. ბოლოს-დაბოლოს, როდემდე?); როგორც ჩანს, მაისაშვილი ბიჭებს სათანადო დავალებებს ვერ აძლევს; ძალიან ბევრ კომპონენტში ცუდად გამოვიყურებით; მაინტერესებს, როდის დასვამენ იმ ბოლო წერტილს, როცა დარწმუნდებიან, რომ მაისაშვილი ძლიერი მწვრთნელი არაა – მაინცდამაინც ჯგუფიდან ვერ უნდა გავიდეთ?; განვითარებას ვერ ვახერხებთ და ერთ ქვაბში ვიხარშებით; სახეზეა არასწორი მენეჯმენტი და პროფესიონალი კადრების დეფიციტი“.**

რეზიუმეს სახით დავძენთ, რომ პიროვნული ფაქტორი, ეტყობა, ხანდახან გონებას უბინდავს მავანს და მოვლენათა ობიექტურად აღქმის უნარს ართმევს, თორემ იმ ფაქტს რა ვუყოთ, პირველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში რაგბი ევროპამ 4 ძირითადი და 1 სათადარიგო „ბორჯღალოსანი“ რომ შეიყვანა?

აღარაფერს ვამბობთ მეორე ტურის გასვლით უთანასწორო ბრძოლაში ნიდერლანდებთან ცალი ფეხით გასეირნებაზე – 12(!) ლელო და 72:10, რადგან სასაყვედუროს აქაც მოძებნის დაინტერესებული მსურველი – რატომ ვერ ავედით უსუსტეს მოწინააღმდეგესთან 100 ქულამდე ან რატომ მივეცით მას პრესტიჟის ლელოს დადების საშუალებაო?

დაე, ილაპარაკონ...

ცნობისთვის: ამ ჩვენმა ვითომ „ფუნთუშა“ პორტუგალიამ თბილისის შემდეგ კარპატებშიც ვაჟკაცურად იომა, პირველი ტაიმი მოუგო კიდეც რუმინეთს – 22:13 და მხოლოდ ბოლო წუთებზე გატყდა – 27:37 (იმავე დღეს ესპანეთმა რუსეთში იყოჩაღა – 41:37).

ეს ისე, სხვათა შორის.

* * *

ამ დღეებში საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა განცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„გვინდა გამოვეხმაუროთ ბოლო პერიოდში გავრცელებულ მიზანმიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელიც სამწუხაროდ იმ შტურმის გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც ბოლო თვეებია ხორციელდება საქართველოს რაგბის კავშირისა და მთლიანად ქართული რაგბის დისკრედიტაციის მიზნით.

ვფიქრობთ, სწორედ ეს შედის ჩვენი მოწინააღმდეგის ინტერესში, მით უფრო მაშინ, როცა ორგანიზაციაში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები, შეიქმნა სტაბილური სამუშაო გარემო და ქართული რაგბი ემზადება 27 თებერვალს თბილისში გასამართავი პრინციპული დაპირისპირებისთვის რუსეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ.

რაც შეეხება რუსეთის 7-კაცა გუნდის შესაძლო ვიზიტს – არავითარი ერთობლივი შეკრება არ იგეგმება. მიმდინარეობდა შიდა სამუშაო განხილვა შესაძლო სპარინგ-მატჩების საქართველოში ჩატარებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის 7-კაცა ნაკრებებთან, მათ შორის რუსეთის გუნდთანაც, რაც მოემსახურებოდა საქართველოს 7-კაცა ნაკრების სპორტულ ინტერესს, რადგან ჩვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც 15-კაცა, ასევე 7-კაცა რაგბიში რუსეთის ეროვნულ გუნდზე უპირატესობის მოპოვება. მით უმეტეს, რომ ისინი არიან ჩვენი უშუალო კონკურენტები ზაფხულში გასამართავ მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში რუსეთის 7-კაცა ნაკრების შესაძლო ვიზიტს მხარეებს შორის წინ არანაირი ოფიციალური მიმოწერა არ უძღვოდა და ყველანაირი ინტერპრეტაცია დასახელებული გუნდის ოფიციალურად მოწვევისა და მისი ვიზიტის ხარჯების რაგბის კავშირის მიერ დაფარვის შესახებ არის სიცრუე.

ვწუხვართ, რომ კონკრეტული დაინტერესებული ჯგუფის მიერ გულშემატკივარი მიზანმიმართულად იქნა შეცდომაში შეყვანილი“.

◎ ხუთი რგოლი

ფინალურ ეტაპზე...

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში მიმდინარე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, ასპარეზობაში წყვილები ჩაერთვნენ. სპორტულ ცეკვებში საქართველოს სახელით გიორგი რევიასა და მარია კაზაკოვას დუეტმა იასპარეზა და თავისუფალ პროგრამაში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

გიორგი რევიასა და მარია კაზაკოვას წყვილმა მოკლე პროგრამაში ყველა ელემენტი შეასრულა და ჟიურისგან 67.08 ქულა დაიმსახურა. მან 37.17 ქულა ტექნიკური ელემენტებისთვის მიიღოს, ხოლო პრეზენტაციისთვის – 29.91 ქულა.ქართველებმა ლიეტუვის, იაპონიის, გერმანიის, უკრაინისა და სომხეთის სახელით მოსრიალე სპორტსმენებს გადაასწრეს.

პირველ პოზიციაზე 90.83 ქულით საფრანგეთის სახელით მოასპარეზე წყვილი – გაბრიელა პაპადაკისი და გიულემე ციზერონი არიან. მათ მცირედით ჩამორჩებიან რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები – ვიქტორია სინიცინა და ნიკიტა კაცალაპოვი, რომლებმაც 88.85 ქულა გამოიმუშავეს, ხოლო მესამეზე ამერიკელების წყვილი – მედისონ ჰაბელი და ზაკარი დონოჰიუ აღზევდნენ 87.14 ქულით. ფიგურულ სრიალში ფინალური ეტაპი დღეს გაიმართება.

◎ წინაპრებთან

შაკის ოხუნჯობანი

ლეგენდარულმა ამერიკელმა კალათბურთელმა **შაკილ ო'ნილმა** იხუმრა და საკუთარი თავი გორილას შეადარა. როგორც მან აღნიშნა, როცა ზოოპარკში მიდის, გორილები მის დანახვაზე გიჟდებიან.

„მთელი მსოფლიოს გარშემო თითქმის ყველა ზოოპარკში ვარ ნამყოფი და ყოველთვის, როცა გორილას ვუახლოვდები, ისე მიყურებენ, თითქოს მეუბნებიან, „კი, მაგრამ ძმაო, რა მოუვიდა შენს ბეწვს? რას აკეთებ გარეთ, როცა მე აქ ჩაკეტილი ვარ? ყოველთვის, როცა მიყურებენ, გიჟდებიან“, – თქვა შაკიმ Spotify-სთან პოდკასტში. შეგახსენებთ, რომ შაკილ ო'ნილი NBA-ში „ორლანდი მეჯიქის“, ლოს ანჯელეს „ლეიკერსის“, „მაიამი ჰითის“, „ფინიქს სანზის“, „კლივლენდ კავალიერზისა“ და „ბოსტონ სელტიქსის“ ღირსებას იცავდა და 4-ჯერ გახდა „ოქროს ბეჭდის“ მფლობელი, სამჯერ კი NBA-ს ფინალების MVP-ის ტიტული ერგო.

ვემშვიდოობებით ლომერ ახვლედიანს

87 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი კინოოპერატორი **ლომერ ახვლედიანი.**

ლომერ ახვლედიანმა 1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი, 1975 წელს კი — მოსკოვის კინოს ინსტიტუტის საოპერატორო ფაკულტეტი. 1957 წლიდან მუშაობდა ტელეფილმების სტუდიასა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ ოპერატორად. 1978 წელს დაჯილდოვდა კაიროს საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზით.

ლომერ ახვლედიანი იყო კინემატოგრაფისტთა კონფედერაციისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. 1979 წელს გახდა შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.

გადაღებული აქვს ფილმები: „ქვევრი“, „სამკაული სატრფოსათვის“, „აურზაური სალხინეთში“, „მზე შემოდგომისა“, „მშობლიურო ჩემო მიწავ!“, „ნატვრის ხე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „დონ-კიხოტი“, „ბესამე“, „ექსპრეს-ინფორმაცია“ და სხვა.

რუსეთის მოქალაქე სასტიკად სცემა და ტელეფონი გასტაცა!

პოლიციამ ქუთაისში ტურისტზე მომხდარი თავდასხმის ფაქტი გახსნა. როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირი არასრულწლოვანია.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 11 თებერვალს, 2004 წელს დაბადებულმა ი.ო.-მ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, საქართველოში მყოფ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს — 1991 წელს დაბადებულ ა.ბ.-ს, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მობილური ტელეფონი გასტაცა და მიიმალა. სამართალდამცველებმა ნაძარცვი მობილური ტელეფონი ნივთმტკიცებად ამოიღეს“, — აცხადებენ უწყებაში.



ევერესტის ყინული 30 წელიწადში გაქრება?!

ევერესტის უმაღლესმა მყინვარმა 2000 წლის განმავლობაში დაგროვებული ყინული 25 წელიწადში დაკარგა!

დედამიწაზე არსებული კლიმატის კრიზისი გავლენას ყველგან ახდენს — ზღვის სიღრმეებიდან დაწყებული, პლანეტის ყველაზე მიყრუებული ადგილებით დამთავრებული. ახალი კვლევის მიხედვით, ის ცვლილებებს იწვევს მსოფლიოს ყველაზე მაღალ წერტილებშიც.

ევერესტის უმაღლესი მყინვარის, სამხრეთ უნაგირას შესწავლის შემდეგ, მეცნიერები იუწყებიან, რომ გლობალური ტემპერატურის მატებასთან ერთად, იქ ყინულის დანაკარგები სულ უფრო იზრდება, თანაც, ყინული კიდევ უფრო დაუცველი და მოწყვლადი ხდება თოვლის თხელი საფარის გამო. ქანების მოშიშვლება ევერესტზე ასვლას უფრო გაართულებს. უფრო შემაშფოთებელია პოტენციური გავლენა იმ ხალხზე, რომლებიც ამ მყინვარებზე არიან დამოკიდებული სასმელი და ტექნიკური წყლის მიწოდების თვალსაზრისით. კიდევ ერთი საშიშროებაა ზვავების რისკის ზრდა.

„ჰიმალაის კლიმატური პროგნოზები მიუთითებს, რომ გაგრძელდება დათბობა და მყინვარული მასის კლება; ადამიანის საქმიანობით გამოწვეული დათბობა ევერესტის მთის წვერსაც კი შეეხება“, — ამბობს კვლევის ავტორი, მენის უნივერსიტეტის გლაციოქიმიკოსი მარიუშ პოტოკი.

ამინდის სადგურებისა და ყინულის ნიმუშების მონაცემების გამოყენებით, რომლებიც მოიცავდა 8020 მეტრის სიმაღლეზე აღებულ ყინულსაც, მკვლევრებმა შექმნეს მოდელები, რომლებიც აჩვენებს, რომ ყოველწლიურად იკარგება ათეულობით წლის განმავლობაში დაგროვებული ყინული.

მკვლევართა განცხადებით, კრიტიკულია თოვლის საფარის დანაკარგი. სუბლიმაციისას, ანუ თოვლის პირდაპირ აორთქლების შედეგად, რაც კლიმატის ცვლილებით არის გამოწვეული — კიდევ უფრო შიშვლდება მის ქვეშ არსებული ყინული და უკან უფრო ნაკლები რადიაცია აირეკლება. მკვლევართა შეფასებით, ყოველწლიურად იკარგება დაახლოებით 2 მეტრი ყინული.

„კვლევა პასუხობს კითხვას იმის შესახებ, ავლენს თუ არა გავლენას ადამიანის მიზეზით გამოწვეული კლიმატის ცვლილებები პლანეტის უმაღლეს მყინვარებზე. პასუხი მკაფიოდ დადებითია“, — ამბობს მენის უნივერსიტეტის გლაციოლოგი პოლ მაიევსკი.

მკვლევართა მოდელის შეფასებით, ბოლო 25 წელიწადში მყინვარი დაახლოებით 55 მეტრით გათხელდა, რაც 80-ჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე წინა ორი ათასწლეულის განმავლობაში წარმოქმნილი ყინული. ევერესტზე ყველაზე ძლიერი ცვლილებები 1990-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ კლიმატის გათბობით გამოწვეული ძვრები იქ 1950-იანი წლებიდან მიმდინარეობს. ამდენი თოვლისა და ყინულის დანაკარგის მიზეზად, ტემპერატურის ზრდის გარდა, მკვლევრები მიუთითებენ ფარდობითი ტენიანობის შემცირებასა და ქარების გაძლიერებასაც. თოვლი ამჟამად გაცილებით სწრაფად ქრება, ვიდრე მისი ხელახლა ჩანაცვლების მაჩვენებელია.

ის, რომ ეს მსოფლიოს უმაღლეს წერტილში ხდება, გამაფრთხილებელი ნიშანია მთელი მსოფლიოს მყინვარებისთვის, როცა ტემპერატურა ასე იმატებს. პროგნოზები მიუთითებს, რომ ტენდენცია მხოლოდ ერთი მიმართულებით წავა და ისე მაღლა მდებარე მყინვარიც კი, როგორიც სამხრეთ უნაგირაა, ამ საუკუნის შუა წლებში გაქრება — კიდევ ერთი მკვეთრი შემახსენებელი იმისა, როგორ სამუდამოდ ვცვლით პლანეტას.

კვლევა NPJ Climate and Atmospheric Science-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია umaine.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობისა და კავშირის წევრები: მამია, რობერტ, კახა, იოსებ, ლავრენტი, მურაზ, მურმან, გოგიტა, სპარტაკ, ზვიად, დათო, რამინ, თენგიზ, ბესიკ, ბათუ, ირაკლი, შადიმან, ზაალ, რუსუდან, ხათუნა, ანა, რეზიკო, გურამ, თემურ, პავლე, ნუკრი, პეტიკო, ბესო ჭუმბურიძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, გამოჩენილი ენათმეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი მამულიშვილის

ზურაბ ჭუმბურიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს: შვილებს — თამარსა და ნინოს, სიძეს — რამაზ ქურდაძეს, შვილიშვილებს — ზურიკოს, ნუცას, გოგლოსა და ლელიკოს.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირ „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი

ზურაბ ჭუმბურიძე

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ზურაბის სული.

გამგეობის წევრები: ვაჟა ნადირაშვილი, მამია ჭუმბურიძე, თენგიზ მაისურაძე, მერაბ ლეკვეიშვილი, ნინო სულამანიძე.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერის, ალმანახ „მწიგნობარის“ სარედაქციო კოლეგიის წევრის

ზურაბ ჭუმბურიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ნინო ტაბატაძის ძმის

შალვა ტაბატაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.



გარდაიცვალა „ჩაკრულოს“ უბადლო შემსრულებელი

ქართული ხალხური სიმღერის ცნობილი შემსრულებელი როსტომ საგინაშვილი 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. როსტომ საგინაშვილი იყო ის მომღერალი, რომლის მიერ შესრულებული „ჩაკრულოს“ ჩანაწერი მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი სიმღერა აღმოჩნდა, რომელიც 1977 წელს კოსმოსურმა ხომალდმა „ვოიაჯერმა“ ოქროს ფირფიტით მზის სისტემაში გაიტანა.

„ჩაკრულო“ NASA-მ მსოფლიოს 25 საუკეთესო სიმღერას შორის შეიტანა. როსტომ საგინაშვილი „ჩაკრულოს“ ამ ჩანაწერში ილია ზაქაიძესთან ერთად ასრულებდა. ჩანაწერი საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ამერიკაში გასტროლის დროს 70-იან წლებში გაკეთდა.

დიდი სცენოგრაფის რეტროსპექტივა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეას ესტუმრა, დიდი ქართველი სცენოგრაფის, სოლიკო ვირსალაძის რეტროსპექტული გამოფენა დაათვალიერა და მოუწოდა მისი შემოქმედების მოყვარულთ, აუცილებლად ესტუმრონ ეროვნულ გალერეას...

გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სოლიკო ვირსალაძის ფონდი, ეროვნული გალერეა და საქართველოს ბანკი.

გამოფენაზე, რომელიც ერთი თვეა გრძელდება, წარმოდგენილია მხატვრის 200-მდე ნამუშევარი და მის სახლ-მუზეუმში დაცული საარქივო ნივთები, ასევე კოსტიუმები კულტურის სამინისტროს სსიპ-ებიდან" — ხელოვნების სასახლე — კულტურის ისტორიის მუზეუმი და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები".

სოლიკო ვირსალაძემ შექმნა საკუთარი ხელწერა მე-20 საუკუნის სცენოგრაფიაში. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა იწყება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში. უმნიშვნელოვანესია სოლიკო ვირსალაძის როლი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ეროვნული ანსამბლის ისტორიაში, ვინაიდან „ქართული ნაციონალური ბალეტი" სუხიშვილებისა და სოლიკო ვირსალაძის „გამოგონებაა". პროფესიონალ მხატვარს, თეატრალური ხელოვნების, ქორეოგრაფიის, მუსიკის ღრმა მცოდნეს, შეეძლო მუსიკალური განწყობის შესატყვისი ზუსტი მხატვრული ენის შექმნა სცენოგრაფიაში. სოლიკო ვირსალაძის გამორჩეული გემოვნებით, რაფინირებული სიზუსტით შექმნილი თეატრალური სცენოგრაფია მსოფლიო სასცენო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა რიგებშია.

სოლიკო ვირსალაძის ნამუშევრების ბოლო გამოფენა საქართველოში 20 წლის წინ გაიმართა".

„შემოდგომის ლეგენდა 21" ბაკურიანში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა 2021"-ის გამარჯვებულების დაჯილდოება ონლაინ ფორმატით გაიმართა.

პირველი ადგილი და კონკურსის პრიზი **მარიამ ქავთარაძემ** მოიპოვა ნაწარმოებისთვის —„კურდღლები ჩვენს ეზოში", მეორე ადგილზე გავიდა **თაკო წულაია** („ვის ეშინია უილიამ შექსპირის?"), ხოლო მესამეადგილოსანი გახდა **გურამ ხარშილაძე** („პეპლების მოთვინირება"). სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა" განკუთვნილია მათთვის, ვინც ქმნის პროზაულ ნაშრომებს, სურს მიიღოს ლიტერატურული გამოცდილება, გაიცნოს სფეროს წარმომადგენლები და გაიცნოს თავისი ნაშრომი საქართველოს. წელს კონკურსზე რამდენიმე სიახლე იყო: ლეგენდის ახალი პარტნიორი — აჭარა ჯგუფის წარმომადგენელი ბრენდი „რუმს კოხტა" გახდა. სწორედ ამიტომ 2021 წელს ლეგენდა არა კახეთში, არამედ ბაკურიანში ჩატარდა. ფინალისტებმა სამი დაუვიწყარი დღე ტყის პირას მდებარე რუმს კოხტას სასტუმროში გაატარეს და ახალი ნაშრომები თემაზე — „ჯიბეში ნაპოვნი ნივთ(ებ)ი" შექმნეს.

გარდა ამისა, წელს სიახლე იყო ფინალისტების რიგებში, ათეულში ლეგენდის შემოქმედებითი მასტერკლასის გამარჯვებული მოხვდა, რომელმაც გარანტირებული ფინალისტობა „წერის არქიტექტურის" მთავარ პრიზად მიიღო. კონკურსის ჟიურიმ წლის სამი საუკეთესო ავტორი ფინალური ტურის შემდეგ შეარჩია. თსუ-ის მიერ დაწესებული საპრიზო ფონდიც სწორედ სამ გამარჯვებულზე განაწილდა: **I ადგილი — 1000 ლარი, კონკურსის სიმბოლო და რუმს კოხტა ბაკურიანში ორ დღიანი ვაუჩერი, II ადგილი — 700 ლარი, III ადგილი — 500 ლარი.**

წლევანდელ კონკურსში სიახლე იყო ლიტერატურული ჟიურის შემადგენლობაშიც: **მწერალთა ტრადიციულ სამეულს — დათო ტურაშვილს, თეონა დოლენჯაშვილს და მაკა ლედოკონენს ორი ახალი წევრი — ახალგაზრდა მწერალი სანდრო ლორთქიფანიძე და მთარგმნელი გურამ ღონღაძე შეემატნენ, ჟიურის მეექვსე წევრი იყო შარშანდელი გამარჯვებული გოდერძი გორგილაძე.** თსუ სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა ტრადიციული, ყოველწლიური პროექტია და იგი 2009 წლიდან ტარდება.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

წერილებმა ადრესატამდე 75 წლის შემდეგ მიაღწია

აშშ-ში, ნიუ ჯერსის მკვიდრმა, გარი კეიტენმა სახლში მიიღო წერილი, რომელიც მის მისამართზე 1946 წლის 4 მაისს გაგზავნეს. წერილის შინაარსიის მიხედვით, მისი ავტორი კაცია, რომელიც ნიუ ჯერსიში, მეუღლის ნათესავებს სწერს, თუ როგორ იმოგზაურა ცოლთან ერთად კალიფორნიაში. მოგვიანებით, იგივე მისამართზე მსგავსი შინაარსის კიდევ ერთი წერილი მიიტანეს. ისიც 1946 წლით თარიღდება. კეიტენი ამბობს, რომ სცადა გაერკვია, ვინ ცხოვრობდნენ მის სახლში წლების წინ და ვინ იყვნენ წერილების რეალური ადრესატები, თუმცა, აღმოაჩინა, რომ ადგილობრივი ქონების 1940-იანი წლების ჩანაწერები რამდენიმე წლის წინ ხანძარმა გაანადგურა.

2 თვის განმავლობაში ლატარიაში 264-ჯერ მოიგო

ვირჯინიას შტატის ქალაქ შარლოტსვილში მცხოვრებმა კაცმა ინტუიციის წყალობით, 2 თვის განმავლობაში ლატარიაში 264-ჯერ მოიგო. ლატარიის კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ჯელენ ტეილორმა 104 შემთხვევაში 3 რიცხვის ერთი და იგივე კომბინაცია გამოიყენა და მთავარი პრიზი — თითოეულში 500 დოლარი მოიგო. საბოლოო ჯამში, კაცმა 52 000 დოლარი მიიღო. ტეილორმა იგივე სტრატეგია გამოიყენა კიდევ 160 შემთხვევაში და მთლიანობაში, 132 000 დოლარის მფლობელი გახდა.

კლონირებული ქრცვინისთვის საქმროს ეძებენ

მეცნიერები ცხოველთა სახეობის გადაშენებისგან გადარჩენის მიზნით, მსოფლიოში პირველი კლონირებული შავფეხა ქრცვინისთვის საქმროს ეძებენ. ამერიკელმა სპეციალისტებმა დედალი ქრცვინის კლონირება წარმატებულად 2020 წელს დაასრულეს. ამისთვის მათ 30 წლის წინ მკვდარი დედლის უჯრედები გამოიყენეს. ქრცვინები გადაშენების პირას მყოფი ცხოველები არიან. პოპულაციის შემცირების ძირითადი მიზეზებია ბინადრობის არეალის განადგურება და ადამიანის მიერ გავრცელებული დაავადებები. შედეგად, მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ასეული შავფეხა ქრცვინი დარჩა.

2021 წლის დეკემბერში კლონირებული დედალი ქრცვინი 1 წლის გახდა. ამის შემდეგ ის სქესობრივად მომწიფებულად ითვლება. ცხოველი სახეობის აღდგენის ცენტრში ცხოვრობს, რომლის თანამშრომლები მისთვის მეწყვილეს ეძებენ.

მაქსიმალურად განსხვავებული გენეტიკური მასალის გარდა პოტენციურ „საქმროს" დამატებითი კრიტერიუმებითაც შეარჩევენ: ის ჯანმრთელი შთამომავლების გამოცდილი მამა და ამასთან, „ძალიან ნაზი" უნდა იყოს. ბიოლოგები განმარტავენ, რომ შავფეხა ქრცვინებისთვის სინაზე ძალიან მნიშვნელოვანია: ველურ ბუნებაში დაწყვილების პროცესი შეიძლება სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდეს და ამ დროს აგრესიის გამოხატვამ შეიძლება კლონირებული „საპატარძლო" შეაშინოს, მისი ჯანმრთელობა კი უაღრესად მნიშვნელოვანია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 15 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9506; ევრო - 3.3622;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0028;
100 რუბლი - 3.9339; თურქული ლირა - 0.2173;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7329;
1000 სომხური დრამი - 6.1553.

ამინდი 14 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +6
მთიანი რაიონები - ღამე -7, დღე +4
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -2, დღე +11
მთიანი რაიონები - ღამე -8, დღე +8
თბილისი: ღამე 0, დღე +3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge